ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

მაკროეკონომიკის მიმართულება

ანი ლაშხი

ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი
თემაზე:

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემები საქართველოში

მეცნიერ ხელმძღვანელი : ასოცირებული
პროფესორი

მანანა ლობჟანიძე

თბილისი 2019

ანოტაცია

დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. დასაქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ შრომით საქმიანობასთან, მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნასთან.

დასაქმებასთან დაკავშირებული პროცესები ყველაზე მეტად რთულადაა ახალგაზრდებში. ახალგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. XXI-ე საუკუნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმება და მასთან არსებული სირთულეები.

ახალგაზრდების დასაქმებისა და მასთან არსებული პროცესების შესწავლისას მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ასპექტების განხილვა, რადგან ყველა ეს პროცესი დაკავშირებულია ახალგაზრდების დასაქმებასთან. ამასთანავე მნიშვნელოვანია უმაღლესი და პროფესიული განათლების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

ახალგაზრდები ქვეყნის შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსია. ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში შესამჩნევად ცვლის არამხოლოდ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, არამედ შრომითი პოტენციალის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობასაც.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ.

აუცილებელია ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება და მიზნების დასახვა სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თაოსნობით, რათა შემსუბუქდეს ახალგაზრდების წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემა თუ გამოწვევა.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან სწორედ ახალგაზრდობაა საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი, რომელიც მძაფრად რეაგირებს სოციალურ უსამართლობაზე.

Annotation

Employment is one of the most important economic categories and social-economic phenomenon. Employment as a social-economic phenomenon is directly associated with people, their work, material and spiritual wealth.

Prospects, which are related to the establishment, are the most complicated. Employment of young people is an acute socio-economic problem. One of the most important challenges of the XXI century is the employment of young people and the difficulties in it.

It is important to update the economic, social and demographic aspects of youth employment, as well as all the processes related to the employment of young people. It is also important to consider the state regulation policy of higher and vocational education.

Young people are the most important part of the country's labor resources and are strategic resources for socio-economic development. The share of young people in the population changes significantly not only his sexual-age structure, but also professional-qualified composition of labor potential.

Employment of young people requires special assistance and promotion. They are distinguished from other social-demographic groups of the population, health, level of education, professional training, mobility, high job requirements etc.

It is necessary to set up such mechanisms and set goals for ministries, local authorities, youth organizations, private sector, civil society organizations and international organizations to alleviate the problem of challenges or challenges to young people.

The solution of youth employment problems requires a special approach, since the youth is the most active part of society that strongly reacts to social injustice.

სარჩევი

ანოტაცია 2
შესავალი 6
თავი I. ახალგაზრდობის დასაქმება და მისი მნიშვენლობა 10
1.1 დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები 19
თავი II. ახალგაზრდობის დასაქმების კანონზომიერებები და თავისებურებები საქართველოში 35
თავი III. ახალგაზრდობის დასაქმების სრულყოფის მიმართულებები 43
თავი IV. დასაქმების პრობლემების საქართველოში და მისი თავისებურებები 54
დასკვნა 91
გამოყენებული ლიტერატურა 93

შესავალი

ახალგაზრდების დასაქმებისა და მასთან არსებული პროცესების შესწავლისას მნიშვნელოვანია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული ასპექტების განხილვა, რადგან ყველა ეს პროცესი დაკავშირებულია ახალგაზრდების დასაქმებასთან. ამასთანავე მნიშვნელოვანია უმაღლესი და პროფესიული განათლების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

დღესდღეობით ქვეყანაში ახლგაზრდების დასაქმება მწვავე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს. ადამიანური კაპიტალის ამ შემთხვევაში ახალგაზრდების დეგრადაციას მატერიალურ სირთულეებთან ერთად თავს იჩენს სხვა სოციალური პრობლემები.

ახალგაზრდების დასაქმება განსაკუთრებულ დახმარებასა და ხელშეწყობას მოითხოვს. ისინი მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევიან ჯანმრთელობით, განათლების დონით, პროფესიული მომზადებით, მობილურობით, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნებით და ა.შ. ყოველივე ეს განსაზღვრავს მათ ქცევას შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდების დასაქმების ნებისმიერი ასპექტით შესწავლისას აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირში განხილვა, განათლებისა და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

შრომის ბაზრის მკვლევარები, დასაქმების სამსახურების ექსპერტები, პროფკავშირების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ პრობლემის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რეფორმები განათლების სფეროში.

მნიშვნელოვანია სახელმწიფომ შეიმუშაოს გეგმა, რის შედეგადაც შეძლებს საგანმანათლებლო ინსტიტუტების გაძლიერება და პოპულარიზაცია. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა პროფესიული კოლეჯების პოპულარიზება და გაძლიერება. ამ მხრივ არაერთი ღონისძიება გატარდა, კანონში შევიდა ცვლილება, კოლეჯების უმეტესობა რეაბილიტირებულია. საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით შეიქმნა თანამედროვე

სახელმძღვანელოები, პროფესიული კოლეჯები აღიჭურვა თანამედროვე დანადგარებით. რეფორმის ფარგლებში დაიგეგმა პროფესიული კოლეჯის მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება.

ახალგაზრდობის დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების საქმიანობა ფასდება მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხით, რაც გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში (სტაჟირება და პროფესიული პრაქტიკა, დროებითი დასაქმება სწავლის პერიოდში, შრომითი მოწყობა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ), ასევე სტრატეგიული ამოცანების სწორად განსაზღვრასა და გადაწყვეტაში. ამ ამოცანებიდან უმთავრესია სასწავლო პროგრამების აქტუალურობისა და თავისებურებების გამოვლენა, მისი შესაბამისობა ანალოგიური პროფილის უცხოეთის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებთან, საკუთარი სპეციფიკის, უპირატესობების დასაბუთება და თავისი სეგმენტის გამოკვეთა როგორც საგანმანათლებლო მომსახურების, ასევე შრომის ბაზარზე.

როგორც ახალგაზრდები, ასევე დამსაქმებლები ფიქრობენ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი კომპეტენციები, რომელთა კავშირი ტრადიციულ აკადემიურ განათლებასთან აუცილებელია. ეს კომპეტენციებია: ცოდნის გამოყენების უნარი, ახალ პირობებში ადაპტაციის შესაძლებლობა, დამოუკიდებლად მუშაობის უნარი, ჯგუფში მუშაობა, ორგანიზებისა და დაგეგმვის უნარი, ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ ენაზე.

ახალგაზრდობის მნიშვნელოვანი ნაწილი შრომითი გამოცდილების უქონლობის, სამუშაოსადმი წაყენებული მაღალი მოთხოვნების გამო, შრომის ბაზარზე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება და უმუშევართა რიგებს ემატება. ამიტომ, სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდების დასაქმების საკითხისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ სოციალურ-ეკონომიკური დანაკარგების გაცნობიერება, რაც შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდობის დაუსაქმებლობამ. ხანგრძლივი და მასობრივი უმუშევრობა ახალგაზრდებში იწვევს ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარ შესაძლებლობებში ურწმუნოებას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს

დანაშაულის ზრდას, ოჯახების რღვევას და სხვა ნეგატიურ შედეგებს, რომ არაფერი ითქვას მთლიანი შიგა პროდუქტის იმ დანაკარგებზე, რომლის წარმოებაც შესაძლებელი იქნებოდა სრული დასაქმების პირობებში.

ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების გადაწყვეტა განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს, რადგან სწორედ ახალგაზრდობაა საზოგადოების ყველაზე აქტიური ნაწილი, რომელიც მძაფრად რეაგირებს სოციალურ უსამართლობაზე.

ახალგაზრდები ქვეყნის შრომითი რესურსების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული რესურსია. ახალგაზრდების წილი მოსახლეობაში შესამჩნევად ცვლის არამხოლოდ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურას, არამედ შრომითი პოტენციალის პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობასაც.

ნებისმიერი ერის წარმატებული მომავალი დამოკიდებულია განათლების სისტემის სწორ მოწყობასა და ფუნქციონირების მაღალ ხარისხზე. იმ ქვეყნებში, სადაც განათლების სისტემა ეფექტიანია, შესაბამისად ჯანსაღია სახელმწიფოს ყველა წამყვანი ინსტიტუტი.

ახალგაზრდების მიგრაციის შესწავლისას, აუცილებელია ეკონომიკური, სოციალური და დემოგრაფიული მახასიათებლების ურთიერთკავშირით განხილვა, განათლების და პროფესიული მომზადების სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის გათვალისწინება.

ახალგაზრდობის დასაქმება უმწვავესი პრობლემაა ნებისმიერი ქვეყნისათვის და მათ შორის გამონაკლისი არც საქართველოა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მოშლილია პროფესიული განათლების სისტემასა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთობის მექანიზმი, ყოველგვარი მოთხოვნის გაუთვალისწინებლად ხდება სპეციალისტების მომზადება. მართალია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან, მაგრამ მიღებული განათლება შრომითი მოწყობისა და სრულფასოვანი ცხოვრების გარანტიას უნდა იძლეოდეს.

მნიშვნელოვანია დარეგულირდეს დისბალანსი საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და ახალგაზრდების პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობას შორის, აუცილებელია აღნიშნულ და სხვა მსგავს პროგრამებში მაქსიმალურად ჩაერთოს საქართველო. პრობლემის მოგვარებაში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, ასევე განათლების სფეროში მეცნიერულად დასაბუთებული ეფექტიანი რეფორმების გატარებას.

იმ ქვეყნისათვის, საიდანაც ხდება ახალგაზრდობის მობილობა, ყველაზე შემაშფოთებელი ის არის, რომ უცხოეთში მიდიან ყველაზე მომზადებული, განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდები. მიგრაციული განწყობა სწორედ ელიტურ სტუდენტ-ახალგაზრდობაში შეიმჩნევა. მათი აკადემიური მოსწრება და პროფესიული მომზადება მაღალი მახასიათებლებით გამოირჩევა.

უმაღლესდამთავრებულთა მიგრაციას როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეები გააჩნია. ქვეყანა, საიდანაც გაედინება ახალგაზრდები კარგავს ინტელექტუალური პოტენციალის მნიშნელოვან ნაწილს (ინვესტირება განხორციელებულია ოჯახის ან სახელმწიფოს მიერ). თუმცა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი კადრებით ქვეყანა კვლავ ავსებს როგორც მეცნიერებას, ასევე ეროვნულ ეკონომიკას.

ახალგაზრდების საერთაშორისო მიგრაციას თან სდევს დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური შედეგები. უნდა აღინიშნოს, რომ განვითარებადი ქვეყნების მოსახლეობის 1/3 სწორედ ახალგაზრდობა შეადგენს.

თავი I. ახალგაზრდობის დასაქმება და მისი მნიშვენლობა

XXI-ე საუკუნის [1]ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმება და მასთან არსებული სირთულეები. უმუშევრობის პრობლემა თავს იჩენს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ დროიდან და შემდგომ უფროდა უფრო მწვავდება პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის, მათ შორის საქართველოსთვის. საბჭოთა კავშირის რღვევის პროცესი 1980-იანი წლების ბოლოს დაიწყო, რომელსაც თან სდევდა სახელმწიფო წარმოებისა და მასთან დაკავშირებული დასაქმების სისტემის მოშლა. საქართველოსთვის და ზოგადად ქვეყნებისთვის ახალგაზრდობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე ღირებულ და მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამიტომაც საქართველოში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები არსებული ხელისუფლებისა და სხვადასხვა ქართული თუ არაქართული ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, ევროკავშირის მერ მომზადებული და დაფინანსებულია პროექტი „ახალგაზრდების როლოსა და საჭიროებების საერთო ხედვა“, რათა მომხდარიყო ახალგაზრდების პოტენციალის ოპტიმიზაცია. სწორეთ ამ ინიციატივით დაიწყო საქართველოში ეროვნული ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავება. ახალგაზრდული პოლიტიკა თითქმის ყველა ინსტიტუტს(სექტორს) მოიცავს, რადგან ახალგაზრდების წინაშე მდგარი მრავალი გამოწვევა, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევა დასაქმების პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია მხოლოდ ერთი ინსტიტუტის(სექტორის) ძალისხმევით. აუცილებელია ისეთი მექანიზმების ჩამოყალიბება და მიზნების დასახვა სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლების, ახალგაზრდული ორგანიზაციების, კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების თაოსნობით, რათა შემსუბუქდეს ახალგაზრდების წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემა თუ გამოწვევა. საქართველოს „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკა“ მოიცავს კონცეფციურ დოკუმენტს და მისი მიზნები, ხედვა, პრინციპები და მექანიზმები საფუძვლად უნდა დაედოს მთავრობის მიერ

[1] არსებული ინფორმაცია აგებულია “UNICEF in Georgia” ერთობლივი კვლევის საფუძველზე, რომელიც ეხება ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას საქართველოში_http://unicef.ge/uploads/WMS_brochure_unicef_geo_web.pdf. http://eap-csf.ge/images/doc/publikaciebi/Policy%20Paper%20WG4_Axalgazrdebis%20dasaqmeba.pdf

ახალგაზრდობასთან დაკავშირებულ განსახორციელებელ ქმედებებს. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი საქართველოს მთავრობის მიერ 2012 წლის 17 აგვისტოს (განკარგულება N1608) დამტკიცდა, რომელიც შეიქმნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე.

საქართველოში უმუშევრობის პრობლემა ქრონიკულ ხასიათს ატარებს, არამარტო ახალგაზრდებში, არამედ ზრდასრული შრომისუნარიან მოსახლეობაში, ჯანსაღი და შრომისუნარიანი მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია სხვადასხვა მიზეზის გამო. მათგან ერთ-ერთ მიზეზს წარმადგენს მოუწესრიგებელი შრომის ბაზარი, რადგან არ არის განსაზღვრული თუ რა რაოდენობის კადრია რეალურად საჭირო ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის, რომელსაც ის რეალურად აითვისებს. ამასთანავე არ არის გამოკვლეული ეკონომიკის რომელ სექტორში რა კვლაფიკაციის სამუშაო ძალაა საჭირო შრომის ბაზარზე და რა დარგები შეიძლება გახდეს სამომავლოდ უფრო აქტუალური და მოთხოვადი. ამასთანავე პრობლემას წარმოადგენს არსებული კვალიფიციური კადრებისა და პოტენციური დამქირავებლის ერთანეთთან დაკავშირება, მაგრამ ბოლო პერიოდში სხვადასხვა ონლაინ საინფორმაციო წყაროების მეშვეობით უფრო გამარტივდა მათი ერთმანეთთან დაკავშირება. ზემო აღნიშნული პრობლემების აღმოფხვრას უმეტესწილად ძალიან მცირე მასშტაბები აქვს. ეს მცირე ქმედებებიც არ არის კოორდინირებული ისე როგორც საჭიროა, აგრეთვე არ ატარებს სისტემატიურ ხასიათს და სამწუხაროდ უმეტეს შემთხვევაში შემოიფარგლება მხოლოდ კერძო ინიციატივებით. შრომის ბაზრის ქაოსური მდგომარეობა და დისბალანსი განსაკუთრებით მძიმე აღსაქმელი და დასაძლევია ახალგაზრდებისთვის, რადგან მათ წინაშე უამრავი სირთულე იჩენს თავს, როგორიცაა მოუწესრიგებელი საკანონმდებლო ბაზა, დამსაქმებლის ძიება, შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც ხშირ შემთხვევაში შედგენილია დამსაქმებლის სასარგებლოდ, მათი სურვილისებრ, რომელშიც გაურკვეველია უამრავი პუნქტი, რომელზეც ახალგაზრდები იმ მომენტისთვის არ ფიქრობენ, ან არ უნდათ რომ იფიქრონ, რადგან ესაჭიროებათ სამსახური და შემოსავალი, რომელსაც ისინი შრომის შედეგად გამოიმუშავებენ, სამწუხაროდ ხშირდ ირღვევა ახალგაზრდების უფლებები დამსაქმებლების მხრიდან, დასაქმების ბაზრის

ქაოტურობაც ერთ-ერთი პრობლემაა, რეზიუმეს შედგენა, გასაუბრებისთვის მომზადება და შემდგომში ღირსეულად წარმოჩინება საკუთარი თავის, პრაქტიკული უნარების არ ქონა, რაც მათ უფრო მეტად კონკურენტუუნაროებს ხდის. ამ ყველაფერს ის ახალგაზრდები უფრო მეტად რთულად აღიქვამენ და უმკლავდებიან, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ იაზრებენ და აღიქვამენ არსებულ რეალობას, რადგან მათ არ იციან საკუთარი შესაძლებლობები და პოტენციალი, ჯერ არ აქვთ ჩამოყალიბებული ის უნარები, რომელიც დაეხმარებათ სამსახურის ძიების პროცესში. სწორედ ის ახალგაზრდები არიან უკეთეს მდგომარეობაში, ვინც საკუთარ შესაძლებლობებს უკეთესად აფასებს და საკუთარი თავისადმი რწმენა გააჩნია, შესწევს უნარი გაუმკლავდეს და გადალახოს ყველა გამოწვევა და ბარიერი, ამასთანავე აქვთ სამსახურის ძიების და მუშაობის გამოცდილება, აქვთ დასახული და ჩამოყალიბებული რა მიმართულებით, რა სფეროში და რა პოზიციაზე სურთ არსებულ სიტუაციაში და სამომავლოდ მუშაობა. ასეთი ახალგაზრდები უფრო ჯანსაღად და ობიექტურად აფასებენ საკუთარ თავსა და შესაძლებლობებს. მნიშვნელოვანი და გასათავლისწინებელია ის ფაქტი, რომ ყველა ეს თვისება და უნარი უყალიბდებათ ახალგაზრდებს სპეციალური მომზადებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. შრომითი მიგრაციის გამოწვევი მიზეზია დამსაქმებლის მიერ უარი ახალგაზრდების დასაქმებაზე, რადგან მათ არ აქვთ შესაბამისი გამოცდილება, კვალიფიკაციის არქონა. უამრავი ახალგაზრდა მიდის ქვეყნიდან, რადგან სამსახურს ვერ შოულობს საკუთარ ქვეყანაში, მაშინ როდესაც ყველა ასაკობრივ ჯგუფში, 15-29 წლამდე დასაქმების სურვილი ყველაზე მაღალია. სამუშაო ადგილების არქონას, ის პრობლემაც ემატება, რომ დამსაქმებელი ითხოვს ხშირ შემთხვევაში გამოცდილ და კვალიფიციურ კადრს. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ქვეყანაში ხელი შეეწყოს სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის პროგრამების ჩამოყალიბებას, აქტიურ განხორციელებასა და მუდმივ განვითარებას. ეკონომიკური მდგრადობა და განვითარება ქმნის უშუალოდ ქვეყანაში სამუშაო ადგილებს. სახელმწიფოს მოკლე და გრძელვადიანი/სამომავლო ამოცანები და სტრატეგიები უნდა იყოს მიმართული ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნისთვის და საბაზრო სისტემის დისბალანსის დარეგულირებისთვის. უმთავრესია აგრეთვე შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება და სრულყოფა. ფაქტია, რომ „ლიბერალურმა“ შრომის კოდექსმა

და ინვესტიციების მოზიდვამ ვერ გამოიღო სასურველი შედეგი, რის შედეგადაც უმუშევრობა დაძლევადი იქნებოდა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ არსებულ შრომის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების შეუსაბამობაა. შრომის ბაზარზე არის ვაკანსიები, მაგრამ ქვეყანაში არსებული კადრების/სამუშაო ძალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება არსებულ მოთხოვნებს. აგრეთვე ხშირია შემთხვევა, როდესაც კურსდამთავრებული თავისი პროფესიის დამადასტურებელი დიპლომის მიუხედავად ვერ აკმაყოფილებს დამსაქმებლის მოთხოვნებს. აქედან დასკვნა, პრობლემა არის კომპლექსური და მისი მოგვარებისთვის მრავალმხრივ სწორად დაგეგმილ მიდგომას საჭიროებს სხვადასხვა სფეროში სხვადასხვა მიმართულებით, რათა ახალგაზრდებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მაღალი ხარიხის, შრომის ბაზარზე ორიენტირებული, განათლების მიღების შესაძლებლობა და შემდგომ მიღებული ცოდნისა და კვალიფიკაციის რეალიზების საშუალება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ინიციატივით შეიქმნა ელექტრონული სივრცე, სადაც მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახალგაზრდები ერთმანეთს გამოცდილებასა და იდეებს უზიარებენ. ამ ონლაინ სივრცის შექმნის ამოცანა და მიზანი იყო ახალგაზრდებისთვის ღირსეული, სტაბილური სამუშაო პირობების შექმნა. სწორედ ასეთი პლატფორმები საშუალებას აძლევს ახალგაზრდებმა მიაწვდინონ ერთმანეთს ხმა, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, რომელიც მიიღეს მუშაობის ძიების ან დასაქმების პროცესში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO News)_შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია დაარსდა 1919 წელს და იგი გახდა გაეროს პირველი სპეციალიზებული სააგენტო 1946 წელს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აყალიბებს შრომის საერთაშორისო სტანდარტებს კონვენციებისა და რეკომენდაციების სახით და ამით ადგენს ძირითადი შრომითი უფლებების მინიმალურ სტანდარტებს. ორგანიზაცია ძირითადად ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს დასაქმების პოლიტიკის, შრომის ადმინისტრაციის, შრომის კანონმდებლობის და სამრეწველო ურთიერთობების, სამუშაო პირობების, კოოპერატივების, სოციალური უსაფრთხოების, შრომითი სტატისტიკის და შრომის დაცვის, მიგრაციის, იძულებითი შრომისა და ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროებში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია საერთაშორისო შრომის სტანდარტებს ავითარებს კონვენციებისა და რეკომენდაციების სახით, ფუნდამენტური შრომითი უფლებების სფეროში-მინიმალური სტანდარტების დამკვიდრება. ჟენევაში არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნო, მისი საოპერაციო შტაბი, კვლევითი და საგამომცემლო ცენტრი.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია (ILO News) - შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, 2016 წელს ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 13.1 პროცენტს მიაღწია და ეს მაჩვენებელი უცვლელად დარჩა 2017 წლის განმავლობაში (12.9 პროცენტი იყო 2015 წელს). კიდევ უფრო შემაშფოთებელია ახალგაზრდების რიცხვი, ხშირ შემთხვევაში, განვითარებად ბაზრებზე და განვითარებად ქვეყნებში, რომლებიც ცხოვრობენ უკიდურეს ან ზომიერ სიღარიბეში, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო აქვთ. ფაქტობრივად, 156 მილიონი ან 37.7 პროცენტი ახალგაზრდების ცხოვრობენ უკიდურესი ან ზომიერი სიღარიბის პირობებში (მიახლოებითი მაჩვენებელია მოზარდებში-26%-ია).

უმუშევრობა ევროპის რეგიონისა და განვითარებადი ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. პოსტსაბჭოთა ქვეყნები, გამონაკლისი არ არის. მათ შორის სამი პოსტსაბჭოთა ქვეყნა: სომხეთი, საქართველო და უკრაინა. ამ ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის დონე ჰგავს აფრიკული და ლათინური ამერიკის ქვეყნებს. სამუშაო ადგილების არქონის გამო ახალგაზრდები თანხმდებიან ნახევარ განაკვეთზე დასაქმებას და არაფორმალურ სექტორში მუშაობის სურვილი აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებში ბოლო დროს ეკონომიკური კრიზისის გავლენა მნიშვნელოვანი იყო, მისი შედეგები ევროპის მასშტაბით განსხვავდება. ფინანსური კრიზისით დაზარალებულ ქვეყნებს განსაკუთრებით უმუშევრობის მაღალი დონე ახალგაზრდებში აქვთ.

გლობალური ეკონომიკური ზრდა 2016 წელს საერთაშორისო სავალუტო ფონდის განახლებული მონაცემების მიხედვით შეადგენდა 3.1%-ს. მსოფლიო ეკონომიკის ზრდის შემდეგ 2016 წლის შემდეგ ტენდენცია გაგრძელდა, 2017 წელს გლობალური ზრდა 3.5% -მდე გაიზარდა და 2018 წელს 2.8% -ით გაიზარდა.(3.6%)

2017 და 2018 წლების გლობალური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლების ზოგიერთი გაუმჯობესება გამოწვეულია უფრო განვითარებულ ქვეყნებში, როგორც განვითარებულ ეკონომიკურ, ასევე განვითარებად ქვეყნებშიც. 2017 და 2018 წლების ზრდის პროგნოზები ჩინეთის წინააღმდეგ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ისევე როგორც რუსეთში, სადაც შემცირებულია აქტივობა, ხოლო ნავთობის ფასები ხელს უწყობს ეკონომიკის აღდგენას.

მსოფლიო ახალგაზრდობის უმუშევრობის მაჩვენებელი რამდენიმე წლის შემდეგ გაიზარდა, ხოლო მსოფლიო ბანკის მონაცემებით, 2016 წელს 13.6% -მდე გაიზარდა და 2017 წელს არ შემცირებულა. შედეგად, 2012 წლის და 2015 წელთან შედარებით 3 მილიონამდე შემცირების შემდეგ 2016 წელს მსოფლიო მასშტაბით უმუშევარი ახალგაზრდების რაოდენობა ნახევარი მილიონით გაიზარდა, 71 მილიონზე მეტი და 2017 წელს ამ დონეზე დარჩა. გაუარესება განსაკუთრებით შესამჩნევია ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნებში, სადაც ახალგაზრდების უმუშევრობის დონე, შესაბამისად, მსოფლიო ბანკის შეფასებით გაიზარდა, 14.1% - 2014 წელს, 16,8% - 2016 წელს. უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში განვითარებად ქვეყნებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, დარჩა შედარებით სტაბილური დაახლოებით 9,5%, 2016 წელს, მაგრამ ის მუდმივად იზრდება და მიაღწევს 7,9 მლნ. საბოლოო ჯამში, განვითარებულ ქვეყნებში ახალგაზრდების უმუშევრობის მაჩვენებელი 2016 წელს მაღალია (დაახლოებით 14.5% ან 9.8 მილიონი ადამიანი), თუმცა 2017 წელს 14.3% -მდე შემცირდა.

განვითარებად ქვეყნებში ახალგაზრდებში მაღალი უმუშევრობა ასახავს ეროვნული ეკონომიკური ტრანსფორმაციის დაკარგულ პოტენციალს. ასევე, სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების დიდი რაოდენობა სოციალურ არასტაბილურობას შეუწყობს ხელს.

რეგიონებში ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე არის ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში (29.7%-ი_ 2016წელს), სამხრეთ აფრიკაში (52.3%), ევროპასა და ცენტრალურ აზიაში (მაღალი შემოსავლების მქონე ქვეყნებიდან) - 18.1% , ცენტრალური აზიის ქვეყნები და ბალტიის ქვეყნები (18.0%).

ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე კიდევ ერთი პრობლემაა, რომელიც მთელი ევროპის რეგიონისთვისაა დამახასიათებელია.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და ძალიან შემაშფოთებელი ტენდენციაა ახალგაზრდებში ე.წ. შეუსაბამო სამუშაო ადგილების რიცხვის ზრდა. ისინი განაგრძობენ ისეთ პირობებში მუშაობას, რომელიც არასამართლიანია მათთვის და კვლავ რჩებიან ღარიბთა კატეგორიაში. 156 მილიონი ახალგაზრდა მსოფლიოში - 37.7%, ახალგაზრდები - დღეს ცხოვრობს უკიდურესი სიღარიბის პირობებში (ანუ დღეში 1.90 აშშ დოლარზე ნაკლები). ზრდასრულთა შორის ეს მაჩვენებელი 26% -ს შეადგენს. დაბალი ხელფასების გარდა, ახალგაზრდები ხშირად მუშაობენ არაფორმალურ სექტორში, ნახევარ განაკვეთზე ან დროებით სამუშაოზე. მაგალითად, 2014 წლის ევროკავშირში ნახევარ განაკვეთზე მომუშავე ახალგაზრდების წილი ან დროებითი პოზიცია 29%-ი და 37%-ი იყო. მსგავსი ტენდენციები პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიცაა. მაგალითად, ყაზახეთში დასაქმების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა არაფორმალურ სექტორში მომუშავე ახალგაზრდების დიდი რაოდენობა. მსგავსი ფენომენი - ახალგაზრდების არაოფიციალური დასაქმება - სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, მაგალითად, აზერბაიჯანში. ამ ქვეყნის პროფკავშირების აზრით, აზერბაიჯანში ახალგაზრდული დასაქმების პრობლემა არ არსებობს. ახალგაზრდის დასაქმება ადვილია. თუმცა, სამუშაო ადგილების ხარისხი კვლავ დაბალია.

ყაზახეთისთვის „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის“ ექსპერტებმა 2020 წლამდე ახალგაზრდების დასაქმების სამოქმედო გეგმა შეიმუშავეს. გეგმა დაეხმარება ახალგაზრდების უმუშევრობის შენარჩუნებას 5%-ამდე. აზერბაიჯანში, ILO ახორციელებს ორ პილოტურ პროგრამას. პირველი, მოიცავს დამქირავებლების სუბსიდიების გამოყოფას - უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა პროფესიონალებისთვის ხელფასის ნახევარს. მეორე პროგრამაა თვითდასაქმების განვითარება, განსაკუთრებით რეგიონებში.

მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ვერ პოულობს სამუშაოს. ბევრი მათგანი ოცნებობს საზღვარგარეთ წასვლაზე შემოსავლების ძიებაში.

მსოფლიოში, ახალგაზრდების წილი 15-დან 20 წლამდე მზად არის მუდმივად დატოვოს საკუთარი ქვეყანა, მათი რიცხვი 20%-ია. არსებობს რეგიონები, სადაც ეს

მაჩვენებელი 38% -ს აღწევს. მაგრამ, ყოველთვის არ არის შრომითი მიგრაცია ნებაყოფლობითი და ცნობიერი გადაწყვეტილება ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ახალგაზრდები არა მარტო ექსტრემალურ სიტუაციებში (როგორიცაა: შეიარაღებული კონფლიქტები, სტიქიური უბედურებები და სხვა) ტოვებენ თავიანთ ქვეყანას, არამედ ქვეყანაში არსებული სამუშაო ადგილების სიმცირის ან არქონის გამოც. აფრიკაში საჰარის სამხრეთით, ლათინურ ამერიკაში, არაბულ ქვეყნებში, ახალგაზრდების დიდ ნაწილს ურჩევნიათ საკუთარ ქვეყანაში დარჩენა, თუ მათ საშუალება ექნებათ ქვეყანაში ღირსეული სამუშაო და დასაქმების პერსპექტივა. 2015 წელს თითქმის 51 მილიონი საერთაშორისო მიგრანტი 15-დან 29 წლამდე იყო, ნახევარზე მეტი ცხოვრობდა განვითარებულ ქვეყნებში. გარდა ამისა, 2016 წელს მსოფლიო ახალგაზრდების 20%-ი მზად იყო მუდმივად გადასულიყო სხვა ქვეყანაში. რეგიონულ დონეზე ახალგაზრდული მიგრაციის მზადყოფნა ყველაზე მაღალია (38% 2016 წელს) აფრიკაში და ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის რეგიონში. მეორე ადგილზე - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, სადაც 37%-ი მზად იყო სამშობლო დატოვოს. ახალგაზრდების პროცენტული რაოდენობა, რომელთაც სურთ გადაადგილება დასაქმებისთვის სხვა ქვეყნაში-35%-ია, ჩრდილოეთ აფრიკაში, ასევე არაბულ სახელმწიფოებში, სადაც ეს მაჩვენებელი 2009 წელს 21% -დან 2016 წელს 28% -მდე გაიზარდა. სამხრეთ აზიასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ყველაზე დაბალი საშუალო გადაადგილების მაჩვენებელია, სადაც ახალგაზრდების მხოლოდ 17% და 15%-ია მზად თავიანთი ქვეყანა დატოვონ. თითოეულ რეგიონში განსაკუთრებით, საჰარის სამხრეთით მდებარე აფრიკაში, ჩრდილოეთ, სამხრეთ და დასავლეთ ევროპაში, განსხვავებები მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის მიგრაციის თვალსაზრისით.

შრომის ბაზრის უმრავლესობისთვის ახალგაზრდა ქალებისა და მამაკაცების მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება, რაც კიდევ უფრო უთანასწორობას იწვევს. მაგალითად, 2016 წელს მთლიანი სამუშაოს მქონე ახალგაზრდების წილი 53.9 პროცენტია, აქედან ახალგაზრდა ქალების წილი- 37.3%-ია.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა სამხრეთ აზიის ქვეყნებში, არაბულ ქვეყნებში და ჩრდილოეთ აფრიკაში, სადაც 2016 წელს ახალგაზრდა ქალების წილი ჯამში 32.9%-ია.

დასაქმების დაბალი ხარისხი კვლავაც არაპროპორციულად მოქმედებს ახალგაზრდების მდგომარეობაზე, თუმცა სხვადასხვა რეგიონებში ამ მაჩვენებელში მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს.

მაგალითად, ქველ-საჰარის აფრიკის ქვეყნებში კვლავაც მსოფლიოში ყველაზე მაღალი პროპორციაა "ცუდი სამუშაო“ ახალგაზრდებში - თითქმის 70 %-ია. ეს მაჩვენებელი ასევე მაღალია არაბულ ქვეყნებში (39%) და სამხრეთ აზიაში (49%).

განვითარებულ ქვეყნებში, არსებობს ასაკობრივი ჯგუფების მიერ ღარიბი მოქალაქეების განაწილება, სადაც ახალგაზრდები სიღატაკის რისკის ქვეშ მყოფთა ჯგუფში ხანდაზმული ადამიანების ადგილს დაიკავებენ (განვითარებულ ქვეყნებში ეს ჯგუფი მოიცავს ადამიანებს, რომელთა შემოსავალი საშუალოდ 60 პროცენტს შეადგენს).

ამრიგად, 2014 წელს ევროკავშირის 28 ქვეყანაში სიღარიბის მაღალი რისკის მქონე ახალგაზრდა მუშების წილი 12.9 პროცენტია, რაც, ძირითადად, სამუშაო წრეებში (25-დან 54 წლამდე) 9.6 პროცენტს შეადგენს. ეს პრობლემა განსაკუთრებულად მწვავეა იმ ქვეყნებში, სადაც სიღარიბის საფრთხის წინაშე მყოფი ახალგაზრდა მუშების წილი აღემატება 20 პროცენტს.

მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ შრომის ბაზარზე ინტეგრირება, რაც აუარესებს მათ ეკონომიკურ ისე მორალურ მდგომარეობას. გარდა ამისა, ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდობაში ხანგრძლივ უმუშევრობას განიცდიან, გაზრდილია სხვა სახის სოციალური პათოლოგიების რისკი: ჯანმრთელობის გაუარესება, კვების ნაკლებობა, კრიმინალური ქცევის ტენდენცია. ახალგაზრდებში მაღალი უმუშევრობა წარმოადგენს განვითარებად ქვეყნებში გამოუყენებელ რესურსს, როგორც ეკონომიკური ზრდისა და ფისკალური პრობლემების გადაწყვეტის თვალსაზრისით.

თანამედროვე მსოფლიოში ძალიან სწრაფად იცვლება მოვლენები. ცვლილებები ხდება ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში. ამიტომ, ამ სირთულეების გადაწყვეტა გავლენას მოახდენს მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე. ახალგაზრდების უმუშევრობა, როგორც სოციალური პრობლემა - ამ ხასიათის პრობლემები მოდის სახელმწიფოს ეკონომიკურ არასტაბილურობიდან. ახალგაზრდების დასაქმების პრობლემა ასევე მოიცავს ახალგაზრდა პროფესიონალების

ფინანსურ პრეტენზიებს, რომლებსაც არ იზიარებენ დამსაქმებლები. ამდენად, ახალგაზრდები ეძებენ სამუშაოს, მაგრამ ვერ პოულობენ, რის გამოც მათ არ აქვთ საარსებო საშუალება. ეს გამოიწვევს უკანონო შემოსავლების ძიებას, რაც ხშირად იწვევს დანაშაულს, ნარკოტიკების დამოკიდებულებას, ხელს უწყობს სიღარიბეს.

ახალგაზრდების ცხოვრების დონის შემცირება ასევე შეეხო მათ კულტურულ ცხოვრებას. ცხოვრებისადმი მომხმარებელთა დამოკიდებულების დასავლური იდეები პოპულარულია, რაც აისახება ფულისა და მოდის კულტურის, მატერიალური კეთილდღეობის ძიებაში. გარდა ამისა, ახალგაზრდებში დასვენების პრობლემები არსებობს. ბევრ ქალაქში და სოფლებში არ არის სპორტული სექციები . დაბალია განათლების დონე, კომუნიკაცია ინტერნეტში.

ახალგაზრდობა არის პერიოდი, როდესაც მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. მაგალითად, პროფესიის შერჩევა, ოჯახის შექმნა, მეგობრები, ცხოვრების გზების განსაზღვრა, საკუთარი სამყაროს შექმნა. ახალგაზრდების პრობლემების გადაჭრის გზები მდგომარეობს პოლიტიკაში, არა მხოლოდ ნაშრომებსა და გამოსვლებში. ხელისუფლებამ უნდა იცოდეს, რომ ახალგაზრდები ქვეყნის მომავალია. ამიტომ საჭიროა ახლაგაზრდების უნარების მაქსიმალური რეალიზაცია, ხელშეწყობა დასაქმებაში და კარიერულ წინსვლაში, რათა თავიდან აცილებული იყოს უამრავი პრობლემა რაც ახლავს ახალგაზრდების დაუსაქმებლობას.

1.1 დასაქმების კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები

დასაქმება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეკონომიკური კატეგორია და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენაა. მოსახლეობის დასაქმების ხასიათი და კანონზომიერებები განპირობებულია საზოგადოების ეკონომიკური ბაზისით. დასაქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ შრომით საქმიანობასთან, მატერიალური და სულიერი დოვლათის შექმნასთან.

საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამოდინარე, დასაქმება, როგორც სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, გამოხატავს ეკონომიკურ ურთიერთობებს შრომის ბაზრის სუბიექტებს შორის.

შრომის ბაზრის სუბიექტების _ სამუშაო ძალის მფლობელისა და დამქირავებლის ურთიერთობა, დამოკიდებულია ამ სუბიექტების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე, როგორიცაა: შრომითი რესურსების რიცხოვნობა, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, განათლების დონე, კვალიფიკაცია, ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მობილურობა და ა.შ.

დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების დეტალური კვლევა ემყარება შესაბამის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს.

დასაქმების თეორიამ ევოლუციური განვითარების ხანგრძლივი გზა განვლო და ხასიათდება სხვადასხვა კონცეპტუალური მიდგომებით. ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებულია ორი ძირითადი თეორია: კლასიკური და კეინზიანური.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, სრული დასაქმება საბაზრო ეკონომიკის ნორმად ითვლება, საუკეთესო ეკონომიკურ პოლიტიკად კი _ სახელმწიფოს მხრიდან ჩაურევლობის პოლიტიკა.

კლასიკური ეკონომიკური თეორიის ამოსავალს წარმოადგენს დებულება იმის ესახებ, რომ შრომის ბაზარი მოქმედებს საფასო წონასწორობის საფუძველზე. ბაზრის ძირითადი მარეგულირებელია სამუშაო ძალის ფასი. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, ხელფასის მიხედვით რეგულირდება სამუშაო ძალაზე მოთხოვნა და მიწოდება, შესაბამისად ხდება წონასწორობის შენარჩუნებაც.

სამუშაო ძალის ფასი მოქნილად რეაგირებს ბაზრის მოთხოვნებზე - მცირდება ან იზრდება მოთხოვნასა და მიწოდებაზე დამოკიდებულებით.

კლასიკური თეორიის თანახმად, უმუშევრობა _ სამუშაო ძალის მხრიდან უფრო მაღალი ხელფასის მოთხოვნის შედეგია.

სამუშაო ძალის მიწოდების სიჭარბე განაპირობებს ფასის დაწევას წონასწორობამდე. ამასთან, უმუშევრობა ამცირებს რა ხელფასის დონეს, ამით ამაღლებს დასაქმების დონეს; ასე რომ თუ ბაზარზე მიღწეულია წონასწორობა, შეუძლებელია უმუშევრობა.

კლასიკური თეორიის თანახმად, ჩვენთვის მნიშვნელოვანია სამუშაო ძალის, როგორც საქონლის აღიარება და შრომის ბაზრის კი _ როგორც სასაქონლო სეგმენტი.

შრომის ბაზრის ფუნქციონირებისადმი განსხვავებული მიდგომა აქვთ კეინზიანელებს.

ისინი შრომის ბაზარს განიხილავენ, როგორც მუდმივი არამდგრადობის მოვლენას.

კეინზი თავის ნაშრომში კრიტიკულ შეფასებას აძლევს კლასიკური ეკონომიკური სკოლის შეხედულებებს და წარმოადგენს ახალ იდეებს, განსაკუთრებით დასაქმების ფორმირების ფაქტორებისა და მექანიზმების შესახებ.

კეინზიანური მოდელი გამოდის იქიდან, რომ სამუშაო ძალის ფასი მკაცრად ფიქსირებულია და პრაქტიკულად არ იცვლება (განსაკუთრებით შემცირების მიმართულებით), რადგან ხელფასი არ წარმოადგენს ბაზრის რეგულატორს, ასეთი რეგულატორი გარედან უნდა იქნას შემოტანილი. ეს როლი სახელმწიფოს ეკისრება, რომელსაც ერთობლივი მოთხოვნის შემცირების ან გაზრდის ხარჯზე შეუძლია დაძლიოს ეს უწონასწორობა. სამუშაო ძალაზე მოთხოვნა რეგულირდება არა შრომაზე საბაზრო ფასის ცვლილებით, არამედ ერთობლივი მოთხოვნით, სხვაგვარად წარმოების მოცულობის ზრდით.

სახელმწიფო ადიდებს რა პენსიებს, დახმარებებს, ხელფასებს და ა.შ. ამით ხელს უწყობს მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანობის გაზრდას, ხოლო გადასახადების განაკვეთების შემცირებით ასტიმულირებს ინვესტიციების ზრდას.

კეინზიანური თეორიის საერთო დებულებიდან გამომდინარე, შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება:

1. არსებული ტექნიკური მდგომარეობის პირობებში, გამოყენებული რესურსებისა და წარმოების დანახარჯების დონის გათვალისწინებით, როგორც ფულადი, ისე რეალური შემოსავალი დამოკიდებულია დასაქმების სიდიდეზე;
2. სამუშაო ძალის შეთავაზების (მიწოდების) ფუნქცია დამოკიდებულია ხელფასის ნომინალურ დონეზე. კეინზმა გამოთქვა მოსაზრება (განსხვავებით ნეოკლასიკური სკოლის წარმომადგენლებისაგან) იმის შესახებ, რომ დასაქმების დონე დამოკიდებულია საერთო ეკონომიკურ პირობებზე და არა მხოლოდ შრომის ბაზარზე;
3. თანაფარდობა ერთობლივ შემოსავალსა და მოხმარების მოსალოდნელი დანახარჯების სიდიდეს შორის დამოკიდებული იქნება საზოგადოების ფსიქოლოგიურ განწყობაზე, რომელსაც უწოდებენ მის მიდრეკილებას მოხმარებისადმი;
4. შრომის დანახარჯების მოცულობა, რომელზედაც მეწარმეებს აქვთ მოთხოვნა, დამოკიდებულია ახალი ინვესტიციებისათვის საჭირო მოსალოდნელ დანახარჯებზე;

5. დასაქმების ცვლილება დამოკიდებულია მხოლოდ ერთობლივ ეფექტიან მოთხოვნაზე, რომელიც გამოხატულია ხელფასის სახით (სახელფასო ერთეულით).

ამგვარად, კეინზი განიხილავს შრომის ბაზარს, როგორც ინერტულ სისტემას, სადაც სამუშაო ძალის ფასი (ხელფასი) საკმაოდ მკაცრად ფიქსირებულია. იძულებითი უმუშევრობის არსებობა აიხსნება ეფექტიანი მოთხოვნის არარსებობით. მოთხოვნის დაცემისას, მცირდება წარმოების მოცულობა და დასაქმება, ხოლო ნომინალური სახელფასო განაკვეთი უცვლელი რჩება.

შრომისა და დასაქმების სფეროში ყველა შემდგომი კონცეფციები ეთანხმება კლასიკურ და კეინზიანურ თეორიას, ან სადაოდ მიიჩნევს მათ თეორიულ დებულებებს, ან წარმოადგენს ამ თეორიების სინთეზს.

მაგალითად, მონეტარული მიდგომა შრომის ბაზრის მიმართ ემყარება სამუშაო ძალის ფასს და მის მუდმივ ცვლილებას გადიდების თვალსაზრისით.

ამავე თეორიის თანახმად, საბაზრო ეკონომიკისათვის ნიშანდობლივია უმუშევრობის ბუნებრივი ნორმის არსებობა. თუკი დასაქმება აღემატება წონასწორობის დონეს, გარდაუვალია ინფლაცია, ხოლო თუ დასაქმება წონასწორობის დონეზე დაბალია, შედეგად მივიღებთ დეფლაციას.

მონეტარული სკოლის წარმომადგენელთა თვალთახედვით, საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს თვითრეგულირებად სისტემას, რომლის საფასო მექანიზმი თვითონ არეგულირებს დასაქმების რაციონალურ დონეს. შრომის ბაზარზე სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ფორმით ჩარევა, რომელიც მიმართულია დასაქმების დონის ასამაღლებლად და შესაბამისად, უმუშევრობის დონის შესამცირებლად, საბოლოოდ განაპირობებს სტაგფლაციას, რაც ნიშნავს ერთდროულად ინფლაციისა და უმუშევრობის მაღალ დონეს.

როგორც კეინზიანური მიდგომის მხარდამჭერები, მონეტარისტები მიიჩნევენ, რომ სამუშაო ძალის ფასი ხისტია და ნაკლებად ცვალებადია. მონეტარული "თავშეკავების პოლიტიკა", დასაქმების მოცემული კონცეფციის ჩარჩოებში, გვთავაზობს მოსახლეობის შემოსავლების განსაზღვრულ ზრდას, რამაც უნდა მიგვიყვანოს მოთხოვნის შემცირებამდე და მაკროეკონომიკურ წონასწორობამდე. ამგვარად,

თვითრეგულირება შესაძლებელია უზრუნველყოთ სახელმწიფო რეგულირების დახმარებით.

ნეოკლასიკური მიმართულების წარმომადგენელთა შეხედულებისამებრ (ა. მარშალი და სხვები), შრომის ბაზარი მსგავსია სხვა ნებისმიერი სასაქონლო ბაზრისა და აქედან გამომდინარე, ხასიათდება იმით, რომ მყიდველი და გამყიდველი ღებულობს ოპტიმალურს თუ არა, რაციონალურ გადაწყვეტილებას მაინც.

კონკურენციის პირობებში ხელფასი, როგორც შრომის ფასი დგინდება სამუშაო ძალის თავისუფალი გადადინების შედეგად, მოთხოვნისა და მიწოდების ცვლადი პარამეტრების ზემოქმედებით. სწორედ მიღწეულ მწარმოებლურობაზეა დამოკიდებული მომუშავის მომავალი კარიერა.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების ნეოკლასიკური მიდგომა დაფუძნებულია შრომის ბაზრის თვითრეგულირების პრინციპებზე.

ბაზრის ძირითად რეგულატორად გვევლინება სამუშაო ძალის ფასის ანუ ხელფასის სიდიდე. ბაზრის მოთხოვნაზე რეაგირებისას სამუშაო ძალის ფასი იზრდება ან მცირდება. როდესაც სამუშაო ძალის მიწოდება მეტია მოთხოვნაზე, ამ შემთხვევაში უმუშევრობა გარდაუვალია, რომელიც მოქმედებს ხელფასზე, დაბლა სწევს მას, წონასწორობის ზღვრამდე. ამდენად, როდესაც მოთხოვნა სჭარბობს, ყველა დაქირავებული მუშაკი არ სთავაზობს თავის სამუშაო ძალას დაბალი ხელფასის პირობებში. აქედან გამომდინარე, მიღწეულია წონასწორობა შრომის ბაზარზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ შრომის ბაზრის კვლევას მყარი თეორიული საფუძველი აქვს.

შრომის ბაზრის ფორმირების პროცესმა, ადამიანური კაპიტალის წინა პლანზე წამოწევამ, განსაკუთრებით აქტუალური გახადა დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემების კვლევა.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც, მრავალი ნაშრომი მიეძღვნა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების კვლევას.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპზე გადაფასდა მთელი რიგი დებულებები. არსებითად შეიცვალა ამ პრობლემებისადმი მიდგომაც და

ახლებურად ჩამოყალიბდა დასაქმების სოციალურ-ეკონომიკური არსი, დასაქმების პრინციპები.

პროდუქტიული დასაქმება _ ისეთი დასაქმებაა, როდესაც იქმნება პიროვნებისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო დოვლათი და მომსახურება.

1.2. ახალგაზრდობის დასაქმების თავისებურებები

ახალგაზრდობა, როგორც შრომითი რესურსების ნაწილი, ხასიათდება მთელი რიგი განსაკუთრებული ნიშნ-თავისებურებებით, რაც განაპირობებს ამ კატეგორიის სამუშაო ძალის გამოყენებას.

ჯერ ერთი ახალგაზრდობას არ გააჩნია შრომითი და ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ არჩევანს პროფესიის შერჩევისას. ამასთან ერთად აღსანიშნავია მათი არასაკმარისი პროფესიული მომზადება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ამ უკანასკნელთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

მეორე მხრივ, ახალგაზრდობა როგორც წესი, მოსახლეობის სხვა სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფებისაგან გამოირჩევა ჯანმრთელობითა და გამძლეობით, ასევე შრომისუნარიანობის ხანგრძლივი პერიოდით. ახალგაზრდებს მაღალი დონის ზოგადი განათლების და პროფესიული მომზადების მიღება შეუძლიათ, თუ საშუალო ასაკის, წინსაპენსიო და საპენსიო ასაკის სამუშაო ძალა ცდილობა შეუსაბამოს თავისი პროფესიული მომზადება ბაზრის სათანადო მოთხოვნებს, ახალგაზრდები გამოირჩევიან საერთო განათლების, კულტურისა და ინფორმირებულობის მაღალი დონით და პრაქტიკაშიც წარმატებით გამოყენების შესაძლებლობებიც მეტი აქვთ. მათთვის დამახასიათებელია უფრო მაღალი მობილურობა, ენერგიულობა და ინიციატივა.

აღსანიშნავია, რომ მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის პირობებში, უზრუნველყოფილი იყო კურსდამთავრებულთა პირველადი დასაქმება ცენტრალიზებული განაწილებით. არსებული სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობა დამყარებული იყო შრომითი რესურსების აუცილებელ ცენტრალიზებულ განაწილებაზე. იმ პირობებში, როდესაც ერთ დარგში ახალგაზრდა სპეციალისტთა

სიჭარბე იყო, ხოლო მეორეში კი დეფიციტი, ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელი იყო.

1990-იანი წლების დასაწყისში, ეროვნულ მეურნეობაში გამოწვეული მკვეთრი ცვლილებების დროს, ეკონომიკის საერთო კრიზისის ფონზე, განსაკუთრებული სიმწვავით გამოვლინდა დასაქმების კრიზისი. ბუნებრივია, რომ გართულდა ახალგაზრდა სპეციალისტების შრომითი მოწყობაც.

ახალგაზრდების პროფესიული ცოდნა შეუსაბამობაში აღმოჩნდა ფორმირების პროცესში მყოფ შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. ამავე პერიოდს ემთხვევა ქვეყანაში საწარმოების გაჩერება, სტრუქტურული ცვლილებები და მასობრივი უმუშევრობის წარმოშობა. მიღებული პროფესიით დაუსაქმებლობამ ახალგაზრდები აიძულა ეძებნათ უფრო ადვილი და მეტი შემოსავლის მომტანი სამუშაო, რათა რაც შეიძლება სწრაფად მიეღწიათ მატერიალური უზრუნველყოფისათვის. სწორედ ამის გამო ახალგაზრდობის ერთი ნაწილი ჩაერთო კრიმინალურ ბიზნესში.

ხანგრძლივი უმუშევრობა ან პროფესიის მიხედვით დაუსაქმებლობა ახალგაზრდებს არ აძლევს საკუთარი საგანმანათლებლო და პროფესიული ცოდნის გაღრმავების საშუალებას, რაც იწვევს პიროვნების დეგრადაციას, სოციალური პრობლემების (განქორწინებულთა რიცხვის ზრდა, დანაშაულებათა ზრდა) გაზრდას და სხვა.

გასათვალისწინებელია, რომ ახალგაზრდობა წარმოადგენს შრომითი რესურსების შევსების ძირითადად წყაროს და აქედან გამომდინარე, შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მთავარ მიმწოდებელს, ამიტომაც ქვეყანაში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, ახალგაზრდების პროფესიულ მომზადებასა და მიზნობრივი დასაქმებისათვის, დღეს განხორციელებული ინვესტიციები სამომავლოდ გაცილებით დიდ დადებით ზემოქმედებას მოახდენს ქვეყნის მომავალ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

სახელმწიფოს მხრიდან ახალგაზრდობის დასაქმების საკითხებისადმი მიდგომა, განსაკუთრებულ სიფრთხილეს და ზომიერებას მოითხოვს, რადგან ახალგაზრდობის ხანგრძლივმა უმუშევრობამ და არასრულმა დასაქმებამ შეიძლება სოციალურ აფეთქებამდეც კი მიგვიყვანოს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო

მარეგულირებელი ორგანოების როლი და მნიშვნელობა, შრომის ბაზარზე, მუდმივად იზრდება.

ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკაში დასაქმების რეგულირების მიმართულების გაძლიერებამ შესაძლებელია მკვეთრად შეცვალოს სიტუაცია, როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ შრომის ბაზარზე.

ახალგაზრდობის დასაქმება დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც არსებითად 2 ჯგუფად იყოფა _ ობიექტური და სუბიექტური.

ეს ფაქტორები გათვალისიწინებული უნდა იქნეს ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისათვის.

"ობიექტური" ფაქტორები უმეტესად ვლინდება ინსტიტუციონალური ფორმით _ სამუშაო ადგილები, პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების სფერო, დასაქმების სამსახური და აშ. _ როგორც საერთო ეკონომიკური სიტუაციის კავშირი დასაქმებასთან.

"სუბიექტური" ფაქტორები უშუალოდ დაკავშირებულია ახალგაზრდებთან (მათი მზადყოფნა პროფესიული შრომისათვის, ფასეულობათა ორიენტაციაზე, სხვა ფსიქოლოგიურ თავისებურებებზე და აშ.). ახალგაზრდობის დასაქმებაზე ზემოქმედი ფაქტორების გამოყოფა პირველ რიგში საშუალებას იძლევა ობიექტურად შეფასდეს ახალგაზრდობის დასაქმების სახელმწიფო რეგულირება სხვადასხვა დონეზე (ადგილობრივი, რეგიონული, ქვეყნის) და დროის მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში.

დასაქმებაზე მოქმედი ობიექტური ფაქტორებიდან აღსანიშნავია:

- სამუშაო ადგილების საერთო რაოდენობა;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის შესაძლებლობა, საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებისათვის;
- სამუშაო ადგილების ეკონომიკურად დასაბუთებული გაზრდა (რაც გამოიხატება შრომის პირობების გაუმჯობესებაში, მაღალი ანაზღაურება და აშ.);
- პროფესიული განათლების დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი ქსელის გაფართოება;
- ახალგაზრდობის მომზადება იმ ახალი სპეციალობების მიხედვით, რომლებიც შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება;

- ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის კვოტირებული სამუშაო ადგილების გამოყოფა, შესაბამისი საკანონმდებლო უზრუნველყოფით;
- ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზის სრულყოფა, რომელიც ახალგაზრდობის დასაქმების უზრუნველყოფას ეხება.
- შრომის ბაზრის საინფორმაციო მომსახურების სრულყოფა, რაც გულისხმობს ამომწურავი ინფორმაციის არსებობას ვაკანსიების შესახებ ქვეყნის რეგიონულ და ქალაქის დონეზე;
- დასაქმების სახელმწიფო სისტემაში სპეციალური სამსახურის შექმნა ახალგაზრდების სოციალური დაცვისათვის, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდული წამოწყების სტიმულირებას (შეღავათიანი კრედიტები, საინფორმაციო და საკონსულტაციო მხარდაჭერა);
- სოციალური პარტნიორობის ფარგლებში _ კოლექტიური შეთანხმების საფუძველზე ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემების ეფექტიანი გადაწყვეტა.

ახალგაზრდობის დასაქმებაზე ობიექტურთან ერთად მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სუბიექტური ფაქტორები:

- ჯანმრთელობის მდგომარეობა (ფიზიკური და ფსიქოლოგიური);
- არასაკმარისი საგანმანათლებლო მომზადება;
- არასაკმარისი საწარმოო გამოცდილება (სამუშაო სტაჟი);
- სუსტი პროფესიული ორიენტაცია (“სულ ერთია სად და რა ადგილზე იმუშავებს”);
- არასაკმარისი შრომითი ჩვევების და გამოცდილება;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა პროფესიული შრომისათვის;
- შრომითი ფასეულობების სუსტი დასაბუთება (პროფესია, კვალიფიკაცია, შრომის მწარმოებლურობა, შემოქმედებითი სამუშაო, პროფესიული კარიერა და აშ.);
- მაღალი მოთხოვნა და მოლოდინი მომავალი სამუშაოსადმი;
- ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა სამუშაო ადგილის დასაკავებლად კონკურენტული ბრძოლისათვის;

- სამუშაო გარემოსადმი შეგუების სირთულეები (მოჭარბებული ემოციები, არასაკმარისი კომუნიკაბელური ჩვევები);
- ეკონომიკური სტიმულის უქონლობა, რომელიც წარმატებული პროფესიული მოღვაწეობის წინაპირობაა.

ახალგაზრდობის დასაქმებაზე მოქმედი ფაქტორების განხილვისას ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს არც ერთი მათგანი. ასევე თითოეულის მნიშვნელობა რეალურ მდგომარეობიდან გამომდინარე უნდა შეფასდეს სახელმწიფო ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობებით.

"სუბიექტური" ფაქტორების შემთხვევაში დაჯგუფება უნდა მოხდეს მისი მნიშვნელობის შესაბამისად.

შრომის ბაზარზე ახალგაზრდობის მზარდი როლიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, სპეციალისტები ცალკე სეგმენტად გამოყოფენ "ახალგაზრდობის შრომის ბაზარს" და გვაძლევენ მის განმარტებასაც. მათი შეფასებისა და შეჯამებისა და შეჯერების საფუძველზე შევეცდებით მის დაზუსტებასა და ჩვენეული განმარტების ჩამოყალიბებას.

ეკონომიკურ ლიტერატურაში გვხვდება შრომის ბაზრის არსის განსაზღვრის განსხვავებული ინტერპრეტაციები, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ახალგაზრდობის შრომის ბაზრის განსაზღვრება. ჩემი აზრით, ახალგაზრდობის შრომის ბაზარი შრომის ბაზრის ერთ-ერთი სეგმენტია და ამდენად შევეცადეთ მისი განმარტება ჩამოგვეყალიბებინა ზოგადად შრომის ბაზრის განსაზღვრების საფუძველზე.

ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ახალგაზრდობის სამუშაო ძალა განიხილება, როგორც ეროვნულ მეურნეობაში მომუშავეთა შევსების ძირითადი წყარო.

ცალკეული მკვლევარები გვთავაზობენ ახალგაზრდობის შრომის ბაზრის განმარტებასაც:

ახალგაზრდების შრომის ბაზარი _ ეს არის მხარეთა ინტერესებზე დამყარებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების კომპლექსი, რომლის სუბიექტებადაც გვევლინება, ახალგაზრდობა, როგორც შრომითი რესურსების უფრო მობილური ნაწილი (15-დან 29 წლამდე ასაკის), სახელმწიფო (როგროც შუამავალი შრომითი

ურთიერთობებისა და მხარეებს შორის შრომითი ვალდებულებებისა და სოციალური დაცვის გარანტი) და ორგანიზაციები (დამსაქმებლის როლში).

კ. მუჟიხოვი ახალგაზრდობის შრომის ბაზრის შემდეგ განმარტებას გვთავაზობს _ ახალგაზრდობის შრომის ბაზარი თავის მხრივ წარმოადგენს მთლიანი შრომის ბაზრის გარკვეულ სეგმენტს, რომელიც ასახავს მოზარდთა შრომაზე მოთხოვნასა და მიწოდების სპეციფიკას, სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედებით.

მოტანილი განმარტებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ახალგაზრდობის შრომის ბაზარი "ჩვეულებრივი ბაზარია", რომელიც ფუნქციონირებს მოთხოვნა-მიწოდების კანონის საფუძველზე. ამასთანავე, ახალგაზრდობის შრომის ბაზარი უნდა განვიხილოთ, როგორც ეროვნული შრომის ბაზრის დამოუკიდებელი სეგმენტი. აღნიშნული სეგმენტის ცალკე გამოყოფის უმთავრეს კრიტერიუმად მიგვაჩნია ახალგაზრდობის ასაკი.

ახალგაზრდობა შეიძლება გამოვყოთ როგორც შრომითი რესურსების განსაკუთრებული კატეგორია, მოსახლეობა 16-დან 29 წლის ასაკის ჩათვლით.

აღსანიშნავია, რომ ქვედა ასაკობრივი ზღვარი განისაზღვრება ადამიანის მზადყოფნით, შეგნებულად ჩაერთოს შრომით საქმიანობაში, ხოლო ზედა ზღვარი კი, მოცემულ შემთხვევაში გვიჩვენებს, როგროც წესი პროფესიული მომზადების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ახალგაზრდობა ნებისმიერი ქვეყნის შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილია და აქტიურ როლსაც ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ასე მაგალითად: 2018 წლის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონ 721 ათასი კაცია, აქედან 15-29 წლის ასაკის ახალგაზრდობა 207,2 ათასი კაცია.

ამ თხუთმეტწლიანი ინტერვალის (16-29 წელი) შიგნით საჭიროა გამოიყოს ახალგაზრდობის სამი ასაკობრივი ჯგუფი: მცირე, საშუალო და დიდი. ცალკეული ჯგუფების გამოყოფას საფუძვლად უდევს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩართვის მოთხოვნები და ინტერესები.

ჯგუფის უმცროს ასაკს (16-19 წელი) მიეკუთვნებიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეები და კურსდამთავრებულები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის

სტუდენტები. მათგან უმრავლესობა მშობლების ოჯახში ცხოვრობს, რაც მათ მატერიალურ მდგომარეობას და ქცევას განსაზღვრავს შრომის ბაზარზე. უმრავლესობა მშობელთა კმაყოფაზეა და საკუთარი შემოსავალს შემთხვევითი სამუშაოს პოვნით გამოიმუშავებს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, პროფესიული განათლების მზარდი როლის პირობებში, საზოგადოებრივი და ეკონომიკური ზრდისათვის, ამ ასაკის პრიორიტეტად, როგორც ახალგაზრდობის ისე სახელმწიფოს მხრიდან, პროფესიული განათლების მიღება და სპეციალიზაცია წარმოადგენს.

საშუალო ასაკი 20-24 წელია _ ეს ძირითადად, შრომის ბაზარზე სამუშაოდ პირველად გამოსული ახალგაზრდები არიან მათ შორის 60% ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას მიეკუთვნება, დანარჩენები კი _ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებიც პროფესიულ მომზადებას ამთავრებენ.

ამ ასაკის ახალგაზრდების უმრავლესობის ძირითადი მიზანია _ სამუშაოს არჩევა, მშობლებისაგან მატერიალური დამოუკიდებლობის მიღწევა.

მათი უმრავლესობისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა მატერიალური მდგომარეობის მაღალ მოთხოვნებსა და რეალური შესაძლებლობების დაკმაყოფილებას შორის. სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფებისათვის არის დამახასიათებელი მაღალი უმუშევრობა და დამნაშავეობა.

“ახლგაზრდა უფროსები” 25-29 ასაკია, ისინი საკმაოდ დამოუკიდებლები არიან. მათ აქვთ გარკვეული ცხოვრებისეული და პროფესიული გამოცდილება, კვალიფიკაცია. მათ იციან რა უნდათ და მზად არიან საკუთარი მიზნის მისაღწევად.

ახალგაზრდობის, როგორც საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის განხილვისას აუცილებელია აღვნიშნოთ, მისი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მატერიალური შესაძლებლობებისადმი, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს შრომისა და დასაქმებისადმი მათ დამოკიდებულებას, ახალგაზრდის შემდგომ ცხოვრებას.

როგორც შრომითი რესურსების ნაწილი, ახალგაზრდობა ხასიათდება რიგი მნიშვნელოვანი თავისებურებებით, რაც განაპირობებს მოსახლეობის ამ კატეგორიის სამუშაო ძალის გამოყენებას.

ჩემი აზრით, ახალგაზრდობა საზოგადოების დამოუკიდებელი ჯგუფია, სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისითაც.

პირველ რიგში, ადამიანის სასიცოცხლო ციკლის გარკვეული ასაკობრივი პერიოდით, მისი სპეციფიკური მოთხოვნებითა და ინტერესებით, ისეთი როგორიცაა; შესაბამისი განათლების მიღების აუცილებლობა, საკუთარი ოჯახის შექმნა, მატერიალური დამოუკიდებლობის მიღწევა ოჯახისაგან (მშობლებისაგან).

ახალგაზრდობის კონკრეტული მოთხოვნები და ინტერესები განმსაზღვრელია მათი მონაწილეობისათვის საზოგადოებრივად სასარგებლო ეკონომიკურ საქმიანობაში. სწორედ სოციალურად დასაბუთებული ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი მოთხოვნილებები წარმოადგენს სოციალური ჯგუფის დამახასიათებელ ნიშანს.

აუცილებელი ცოდნის შეძენა, პროფესია, სპეციალიზაცია, დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობის დაწყება, მატერიალური დამოუკიდებლობა მშობლებისაგან, ქორწინება _ ყველა ეს მოვლენა, რომლებიც თანდათანობით ყალიბდება, იძლევა სრული დამოუკიდებლობის შეგრძნებას.

ჩემი აზრით, ახალგაზრდობის დასაქმების სპეციფიკა განისაზღვრება, პირველ რიგში ახალგაზრდობის ასაკობრივი შეზღუდვით, კონკრეტული სამუშაო ადგილების დასაკავებლად, რომელიც საჭიროებს გარკვეულ სამუშაო და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სწორედ ამიტომ "ახალგაზრდობის დასაქმება" დამოკიდებულია ახალგაზრდობის მოქნილ სამუშაო გრაფიკზე, ახალგაზრდების თვითდასაქმებაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და დამოუკიდებლად განვითარებაზე.

ახალგაზრდები ეძებენ ისეთ სამუშაოს, რომელსაც მოქნილი სამუშაო დღის რეჟიმი აქვს.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის დამახასიათებელია მოსახლეობის პერიოდული მონაწილეობა არაფორმალური დასაქმების სფეროში, როგორც დროებითი სიძნელეების გადალახვის ხერხი. ამ მხრივ გამონაკლისი ცხადია ვერც საქართველო ვერ იქნება, სადაც უმუშევრობის დონე ოფიციალური მონაცემებითაც კი საკმაოდ მაღალია, გარდა ამისა დასაქმებულთა ნაწილი არასრული სამუშაო დროით და დაბალი ანაზღაურების პირობებში მუშაობს.

ახალგაზრდობის, ისევე როგროც ზოგადად მოსახლეობის უმუშევრობა ოფიციალურად არ რეგისტრირდებოდა. გარდამავალი პერიოდის პირველივე წლებიდანვე აშკარა გახდა, რომ იგი საზოგადოების პრობლემაა და მრავალმხრივი ხასიათი აქვს, დამოკიდებულია სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური სტრუქტურის ცვალებადობაზე.

გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ახალგაზრდობის პრობლემები და შრომის ბაზრის განვითარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და არასათანადოდ შესწავლილი პრობლემაა. აქედან გამომდინარე ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები წარმოადგენს მნიშვნელოვანი კვლევის საგანს.

ახალგაზრდობა მუდმივად განიცდის საზოგადოებაში და ბუნებაში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების ზემოქმედებას. მისი განვითარება რთული, მრავალმხრივი და დინამიური პროცესია და მოიცავს სხვადსხვა პრობლემებსა და ასპექტებს, როგორიცაა: სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, ნაციონალურ-ეთნიკური, კულტურული, ეკოლოგიური და ა.შ.

ახალგაზრდობა შრომითი და სოციალური თვითგამორკვევის სტადიაში იმყოფება და ფლობს მთელ რიგ სპეციფიკურ თავისებურებებს, რაც განასხვავებს მას სხვა თაობისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდული პრობლემა ისტორიულად ძალიან ადრე წარმოიშვა და პირველი ფილოსოფიური შეხება მასთან ასახვას პოულობს ყველაზე მნიშვნელოვან წიგნში _როგორიცაა ბიბლია, დღემდე “ახალგაზრდობის” განმარტება არ წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ ტერმინს. ახალგაზრდობა წარმოადგენს ცალკეულ ინდივიდთა ჯგუფს, რომელთაგან თითოეული თავის მხრივ ბიოლოგიური და სოციალური ერთობლიობაა და განსაზღვრავს ორ ძირითად მიდგომას:

1. სოციალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური;
2. სტატისტიკური, დემოგრაფიული;

პირველი მიდგომის მომხრეები ყურადღებას ამახვილებენ ადამიანის სოციალურ ბუნებაზე, ხასიათზე, ხოლო მეორე მიმართულების მომხრეები ცდილობენ ადამიანი ერთიანობაში, ანალიტიკურად გამოყონ მასში ბიოლოგიური და შემეცნებითი სფეროს დამოუკიდებელი ელემენტები.

კითხვაზე, როგორი მაჩვენებელი უნდა იქნეს მიღებული საფუძვლად ახალგაზრდობის ასაკობრივი ზღვრის დადგენისათვის, თანამედროვე სპეციალისტები ჯერ კიდევ შორს არიან ერთიანი შეხედულებისაგან.

ასაკი, ისევე როგორც სოციალური დრო მთლიანად, მრავალგანზომილებიანი მოვლენაა: ადამიანის ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ინტელექტუალური, სოციალურ-კულტურული და ეკონომიკური განვითარება მის მიერ განვლილ წლებს სხვადასხვა შინაარსით განმარტავს. სწორედ ამიტომ, ჩემი აზრით, ასაკობრივი გამიჯვნა უნდა მოხდეს სხვადასხვა განზომილების გათვალისწინებით: 1. ბიოლოგიური; 2. ფსიქოლოგიური; 3. სოციალური და 4. ეკონომიკური.

ზოგიერთი ავტორი, ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, ადამიანის სასიცოცხლო ციკლს წელიწადის დროებს ადარებს.

პითაგორა თვლიდა, რომ "გაზაფხული", რომელიც თავის მხრივ ბავშვობასა და სიყმაწვილეს გრძელდება 20 წლამდე, "ზაფხული" _ 20-დან 40 წლამდე "ზამთარი" _ 60-დან 80 წლამდე. მაგალითად სოლონი, (ძველი ბერძენი ფილოსოფოსი) თვლიდა, რომ ახალგაზრდობის პერიოდი იწყებოდა 14 წლიდან.

შუა საუკუნეებში ახალგაზრდობის კრიტერიუმები დაკავშირებული იყო იურიდიულ კრიტერიუმებთან და სახელმწიფო სამართლებრივ ნორმებთან.

თანამედროვე მკვლევარების უმრავლესობა, ახალგაზრდობას განიხილავს, როგორც სოციალურ, დემოგრაფიულ და ასაკობრივ ჯგუფს, მისთვის დამახასიათებელი სოციალურ-ჯგუფური დიფერენციაციით, ერთიანი ფუნქციურ-ფსიქოლოგიური თავისებურებებით, სპეციფიკური მოთხოვნებითა და ინტერესებით.

ახალგაზრდობის კვლევისას შესაძლებელია დავეყრდნოთ მის ცხოვრების წესს, თავისებურებებს, კულტურას, ქცევას.

ახალგაზრდობის, როგორც განსაკუთრებული სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის ფორმირება ხდება ეტაპობრივად. ჩვენ გამოყოფთ სამ ძირითად ეტაპს. პირველ ეტაპზე ახალგაზრდობა გამოდის, როგროც საზოგადოებრივი ურთიერთქმედების ობიექტი.

მეორე ეტაპზე _ ახალგაზრდობა საწარმოო ძალთა ელემენტი და საზოგადოებრივი ურთიერთობების მატარებელია. მესამე ეტაპზე კი ახალგაზრდობა მთლიანად ავლენს თავის შესაძლებლობებს, როგორც ისტორიული პროცესის სუბიექტი.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ახალგაზრდობის ასაკის ქვედა და ზედა ზღვარი.

ახალგაზრდობის ზედა ზღვარი (29 წელი) დამყარებულია შემდეგ კრიტერიუმებზე:

- პროფესიულ-შრომითი საქმიანობის პროცესის დასრულება;
- საწარმოო-პროფესიული ადაპტაციის პროცესის დასრულება;
- კვალიფიკაციისა და პროფესიულ-შრომითი სტატუსის შეძენა;
- ფინანსური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა;
- სოციალიზაციის პროცესის დასრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობა _ ეს არის მოსახლეობის გარკვეული ასაკობრივ, სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფი, რომელიც საზოგადოებაში გამოირჩევა ბიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური, ნაციონალურ-კულტურული, სამართლებრივი და სულიერი განვითარებით, რაც განპირობებულია სოციალიზაციის პროცესით და აქვს კონკრეტული ისტორიული ელფერი.

მთელ ცივილიზებულ სამყაროში აღიარებულია, რომ ახალგაზრდობის პრობლემებისადმი უყურადღებობამ შეიძლება მძიმე ნეგატიური შედეგები გამოიწვიოს, როგროც ცალკეული ადამიანების, ისე მთელი ერისათვის. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი ვიცოდეთ ახალგაზრდობის შრომის ბაზრის სპეციფიკა, რათა განვსაზღვროთ მისი ეფექტიანი განვითარება.

თავი II. ახალგაზრდობის დასაქმების კანონზომიერებები და თავისებურებები საქართველოში

ახალგაზრდობა შრომითი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილია. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, რომელიც ახალგაზრდობის როგორც საზოგადოების სოციალურ-დემოგრაფიული ჯგუფის დასაქმებას განსაზღვრავს, არის მათი რიცხოვნობა, ასევე მისი წილი შრომისუნარიან მოსახლეობაში და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა.

ახალგაზრდების ეკონომიკური აქტივობის, შრომის ეფექტიანობის შემცირების, დასაქმების დაქვეითების არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორია _ უმუშევრობა: ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი დონის გამო, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია შრომითი საქმიანობა დაიწყოს არა იქ, სადაც სურვილი აქვთ, არამედ სადაც შეძლებენ სამუშაოს პოვნას, მათ შორის ეკონომიკის ჩრდილოვან სექტორშიც.

ახალგაზრდობის მასობრივი უმუშევრობა _ ეს საზოგადოების დეგრადაციას იწვევს. იგი წარმოშობს სიღარიბეს, განსაკუთრებით ახალგაზრდებში ფსიქოლოგიურ სტრესს, საკუთარი შესაძლებლობების მიმართ ურწმუნოებას, პიროვნების დეგრადაციას, ხელს უწყობს დანაშაულებების ზრდას, ოჯახის რღვევას და სხვა ნეგატიურ მოვლენებს.

საქართველოში უმუშევრობის დონე წლების განმავლობაში მაღალი, განსაკუთრებით 15-29 წლის ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე ორჯერ უფრო მაღალია მოსახლეობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით. გარდამავალ პერიოდში, რასაც თან ახლდა სისტემური კრიზისი ეკონომიკაში და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ნაკლებ ყურადღებას უთმობდა ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას. გარკვეულწილად, აღნიშნული პრობლემის არასათანადოდ გაცნობიერებამაც განაპირობა ახალგაზრდების უმუშევრობის მაღალი დონე.

ახალგაზრდების (16-29 წელი) დასაქმებასა და უმუშევრობის მდგომარეობაზე სრულყოფილი წარმოდგენის შესაქმნელად გაანალიზდა დასაქმებული და უმუშევარი ახალგაზრდების სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა ქალაქისა და სოფლის

მიხედვით, ასევე 20 წელზე ნაკლები, 20-24 და 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების რიცხოვნობის შემცირება, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატება, მიუთითებს მოსახლეობის და მათ შორის ახალგაზრდების ცვლილებას, მათ დამოკიდებულებას _ განათლებისადმი.

უმუშევართა წილი ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რიცხვში გაიზარდა ახალგაზრდების უმცროს ასაკობრივ ჯგუფში, რაც მოწმობს შრომის ბაზრის მაღალ მოთხოვნებს სამუშაო ძალის ხარისხის მიმართ, ასევე მათ სწრაფვას მაღალანაზღაურებადი სამუშაოსადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდების უმუშევრობა მაღალია, მნიშვნელოვნად განსხვავდება უმუშევართა ხვედრითი წილი ასაკობრივ ჭრილში.

თუ გადავხედავთ 2002 წლის მონაცემებს, 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის, უმუშევრების ხვედრითი წონა 23.8%-ს შეადგენს. იმავე წელს 20-24 წლის ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის დონე 31.9%. რაც შეეხება 25-29 წლის ახალგაზრდებს, ეს მაჩვენებელი შესაბამისად 26.1%. თუ დინამიკაში განვიხილავთ იგივე მაჩვენებლებს, უმნიშვნელო ცვლილება შეიმჩნევა და 2018 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემდეგია: 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის უმუშევრების ხვედრითი წონა 26.6%, იგივე მაჩვენებელი 20-24 წლის ახალგაზრდებს შორის 30.8%-ს. 25-29 წლის ასაკობრივ ჯგუფში უმუშევრობის დონე 20.0%-ია. 20 წლამდე ასაკის ახალგაზრდებს შორის, უმუშევრობის დონე 2002 წელთან შედარებით ასაკობრივი ჭრილის მიხედვით 20 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 2,8%-ითაა გაზრდილი 2018 წელს, 20-24 წლამდე ასაკობრივ ჯგუფში 2002 წელთან შედარებით 2018 წელს 1,1%-ითაა შემცირებული უმუშევრობის დონე, ხოლო რაც შეეხება 25-29 წლამდე ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე 2002 წელთან შედარებით 6.1%-ითაა შემცირებული უმუშევრობა.

ჩემი აზრით, ახალგაზრდებს შორის უმუშევრობის ზრდის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია, მათი მხრიდან სამუშაოს ძიების ხანგრძლივი პროცესია. ვინაიდან საშუალო (20-24 წელი) და უფროსი (25-29 წელი) ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდების მოთხოვნები საკმაოდ მაღალია სამუშაოს მიმართ, ვიდრე უმცროსი (20 წლამდე) ასაკის ახალგაზრდებისა.

ქალაქში ახალგაზრდებისათვის სამუშაო ადგილების შეთავაზება მკვეთრად არის შეზღუდული, საწარმოების უმოქმედობის ან მასშტაბების შემცირების გამო, თუმცა სოფლისგან განსხვავებით მომსახურების სფერო გაცილებით ფართოა, შესაბამისად, სამუშაო ადგილების მიღების მეტი შესაძლებლობაცაა.

ახალგაზრდების დასაქმებისა და უმუშევრობის სიღრმისეული ანალიზისათვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ სქესობრივ-ასაკობრივ თავისებურებებზე ყურადღების გამახვილება.

დასაქმებული ახალგაზრდები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2002-2018 წწ. (ათასი კაცი)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

2018 წელს 2002 წელთან შედარებით მთლიანად დასაქმებულ ახალგაზრდებში შემცირებულია 20 წელზე უმცროსი ასაკის დასაქმებული ახალგაზრდების წილი და იგი მხოლოდ 13,5%-ს შეადგენს. გაზრდილია 20-24 წლის ახალგაზრდების დასაქმება დონე 2018 წლეს 2002 წელთან შედარებით 14,7%-ითაა გაზრდილი. დასაქმების მაჩვენებელი 25-29 წლის ახალგაზრდებისათვის 2002 წელთან შედარებით 2018 წელს 11,7%-ითაა გაზრდილი.

უმუშევრების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

2002-2018 წწ. (ათასი კაცი)



წყარო: შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე:
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/38/dasakmeba-da-umushevroba

2018 წელს 2002 წელთან შედარებით 20 წლამდე ასაკის უმუშევარ ახალგაზრდებში გაზრდილია უმუშევრობის მაჩვენებელი და იგი 26,6%-ს შეადგენს. შემცირებულია 20-24 წლის ახალგაზრდების უმუშევრობის დონე 2018 წლეს 2002 წელთან შედარებით 30,8%-ია, შემცირებულია 1,1%-ით. უმუშევრობის მაჩვენებელი 25-29 წლის ახალგაზრდებისათვის 2002 წელთან შედარებით 2018 წელს 6,1%-ითაა შემცირებული.

2.1. ახალგაზრდობის დასაქმების კანონზომიერებები და თავისებურებები

უკვე 10 წელზე მეტია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების მომზადება ქაოსურად, ყოველგვარი დაგეგმვისა და დასაბუთების გარეშე მიმდინარეობს. მაშინ როდესაც უკანასკნელ წლებში ეკონომიკაში მიმდინარე

ცვლილებებიდან გამომდინარე, სპეციალისტებზე მოთხოვნა საგრძნობლად შემცირებულია.

განსაკუთრებით საყურადღებოა იმ ახალგაზრდების მდგომარეობა შრომის ბაზარზე, რომელთაც უმაღლესი განათლება მიიღეს. ერთ-ერთ განსაკუთრებულ სოციალურ ჯგუფს სწორედ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულები წარმოადგენენ. მოსახლეობის ამ კატეგორიას მიღებული აქვს უმაღლესი განათლება, მომზადებულია ინტელექტუალური საქმიანობისათვის და დიდი მოთხოვნებიც აქვს სამუშაოს ხასიათის, შრომის პირობების და ანაზღაურების მიმართ, ამიტომ ბუნებრივია, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის რეალიებიდან გამომდინარე, რასაც თან ახლავს გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისი. განსაკუთრებული სიმწვავით გამოიკვეთა ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ ქვეყანაში არ არსებობს საბაზრო რეალობის შესაბამისად ახალგაზრდობის დასაქმების რეგულირების გამოცდილება. ქვეყანამ მემკვიდრეობით მიიღო ახალგაზრდა სპეციალისტების ცენტრალიზებული განაწილების სისტემა. ეს სისტემა ათწლეულების მანძილზე მოქმედებდა და ვრცელდებოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულისათვის.

სპეციალისტთა განაწილების ძველი სისტემა ეყრდნობოდა სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის არსებულ კონტაქტებს და ამის საფუძველზე აწვდიდა განაცხადს უმაღლეს სასწავლებლებს, გარკვეული პროფილის სპეციალისტების მომზადებაზე. თუმცა განათლების სისტემა ერთგვარად მოწყვეტილი იყო წარმოებას, ამიტომ კურსდამთავრებულს 3 წლის განმავლობაში ე.წ. სავალდებულო განაწილებით საწარმოო პროცესთან რეალური ადაპტირების შესაძლებლობა ეძლეოდა, რათა საკუთარი ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი გამოემუშავებინა.

ასეთი მიდგომით ახალ კურსდამთავრებულები გარანტირებული იყვნენ სამუშაო ადგილებით, ამასთან 2-3 წელი ის პერიოდია, როცა ადამიანი ეგუება შრომით კოლექტივს და გადის ადაპტაციის ყველა ეტაპს, იძენს პრაქტიკული უნარ-ჩვევებს და ფაქტობრივად კოლექტივის სრულფასოვან წევრად ყალიბდება.

უნდა აღინიშნოს, რომ კადრების ცენტრალიზებული განაწილების უარყოფითი მხარეებიც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკის

პირობებში, ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა საწარმოთა მხრიდან გადაჭარბებულ საკადრო შეკვეთებს, რაც იწვევდა სახელფასო ფონდის მკვეთრ შემცირებას საბოლოო ჯამში უმაღლეს დამთავრებულთა შრომითი მოწყობის ეს სისტემა მაინც არაეფექტიანად მუშაობადა.

ჩვენი მხრივ შევნიშნავთ, რომ ახალგაზრდობის დასაქმების სპეციალური პროგრამების განხორციელებასა და სახელმწიფოს მხრიდან დიდი ძალისხმევის მიუხედავად, შეუძლებელია უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა პროფესიულ-კვალიფიციური შემადგენლობის სრული შესაბამისობის მიღწევა ეკონომიკის მუდმივად ცვალებად მოთხოვნებთან. ამას ადასტურებს მსოფლიო მოწინავე ქვეყნების გამოცდილება.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოსათვის, ცხადია, რომ უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მიწოდებისა და მათზე მოთხოვნას შორის კიდევ უფრო მკვეთრია დისბალანსი.

ჩემი აზრით, ახალგაზრდების დასაქმების პრობლემების გაცნობიერებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის სისტემატური კვლევა და ახალგაზრდების დასაქმების სპეციფიკის შეფასება. ახალგაზრდობის დასაქმების მდგომარეობის ზოგადმა მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ მოსახლეობის ეს ჯგუფი უმუშევრობის მაღალი დონითა და შრომითი მოწყობის სირთულეებით გამოირჩევა.

ახალგაზრდობის დასაქმების მდგომარეობის ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები და გაგვეკეთებინა გარკვეული დასკვნები:

- 16-29 წლის ახალგაზრდები გამოირჩევიან განათლების მაღალი დონით, მათ უმეტესობას უკვე 24 წლის ასაკში მიღებული აქვს უმაღლესი განათლება,
- ნაწილი სწავლობს - ძირითადად უმაღლეს სასწავლებლებში. კვლევის შედეგებით გამოიკვეთა, რომ შრომის ბაზარზე გამოსული ახალგაზრდების აბსოლუტური უმრავლესობა უმაღლესი განათლების მქონეა;

- ახალგაზრდებს თავისი ფსიქოფიზიოლოგიური თვისებებიდან (დინამიურობა, მოქნილობა, ენერგიულობა, სწრაფვა სიახლისაკენ, სრულყოფილებისაკენ, თვითდამკვიდრებისაკენ და ა.შ.) და თავისებურებებიდან გამომდინარე, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, სამუშაო ადგილისადმი სწრაფი და უმტკივნეული ადაპტაცია ახასიათებთ. ამიტომ ისინი აქტიურობით გამოირჩევიან შრომის ბაზარზე, ხშირ შემთხვევაში ათავსებენ სწავლას და მუშაობას. აღსანიშნავია, რომ ქალები, მამაკაცებთან შედარებით შრომითი აქტიურობის მაღალი დონით გამოირჩევიან;
- ახალგაზრდებს, როგორც წესი, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ათვისების მეტი უნარი გააჩნიათ, დიდია სწრაფვა ადრე ნაკლებად ცნობილი, მაგრამ დღეს უკვე პრესტიჟული, მაღალანაზღაურებადი პროფესიების მიმართ. ახალგაზრდები ფართოდ არიან ჩაბმულნი საფინანსო შუამავლობაში, სახელმწიფო მართვასა და თავდაცვაში, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაში. ისინი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებენ სამუშაო ადგილს - შრომის ანაზღაურების, შრომის პირობების, კვალიფიციური და თანამდებობრივი წინსვლის შესაძლებლობების თვალსაზრისით. ახალგაზრდები არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ სპეციალობის მიხედვით დასაქმებას.
- ახალგაზრდების დასაქმებაზე თავისებურად აისახა ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები. აშკარად გამოიკვეთა მათი სწრაფვა კერძო სექტორში დასაქმებისაკენ (გამოკითხული ახალგაზრდების 68% კერძო სექტორშია დასაქმებული), რაც შეეხება სახელმწიფო სექტორს, ისინი უპირატესობას ანიჭებენ ისეთ სამუშაო ადგილებს, სადაც მაღალი ანაზღაურება და კარიერის შექმნის მეტი შესაძლებლობაა;
- ბოლო 10-15 წლის განმავლობაში მიგრაციული, განსაკუთრებით კი შრომითი მიგრაციის გააქტიურების ფონზე, დამაფიქრებელია ახალგაზრდების მიგრაციული განწყობა. მათ ერთ ნაწილს, ფინანსური

შესაძლებლობის შემთხვევაში, საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლის დიდი სურვილი აქვთ (განსაკუთრებით მაღალია ქალთა მიგრაციული განწყობა). საზღვარგარეთ წასვლის ძირითადი მიზეზებიდან ახალგაზრდები ასახელებენ ქვეყანაში არსებულ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებას, მძიმე ეკონომიკურ პირობებს, უმუშევრობის მაღალ დონეს, შრომის დაბალ ანაზღაურებას. მათი აზრით, სწორედ საზღვარგარეთ წასვლაა თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალება. ახალგაზრდების ასეთი სწრაფვა საზღვარგარეთ სამუშაოდ წასასვლელად, საქართველოსათვის სამუშაო ძალის მნიშვნელოვანი დანაკარგი შეიძლება აღმოჩნდეს, რომ არაფერი ითქვას გენოფონდის დეგრადაციაზე და მოსახლეობის დაბერების დაჩქარებაზე.

თავი III. ახალგაზრდობის დასაქმების სრულყოფის მიმართულებები

3.1. უცხოური გამოცდილების გამოყენება ახალგაზრდობის დასაქმების სფეროში

ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები ნებისმიერი ცივილიზებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია. აღნიშნული პრობლემის მოგვარება იძლევა ქვეყნის შრომითი პოტენციალის ოპტიმალური გამოყენების შესაძლებლობას და მიმართულია ხარისხობრივად ისეთი შრომის ბაზრის ფორმირებისაკენ, რომელიც მაქსიმალურად შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს და საბაზრო ეკონომიკის ყველა სუბიექტის ინტერესებს.

ახალგაზრდობის დასაქმების რეგულირებისა და ხელშეწყობის ღონისძიებებიდან, გასათვალისწინებელია როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის, ასევე გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება. საქართველოსათვის, როგორც ყოფილ საბჭოთა სივრცეში შემავალი ქვეყნისათვის, ყველაზე "ნაცნობია"

სპეციალისტები თვლიან, რომ ეფექტიანი ეკონომიკური სტრატეგიის არჩევა და რეალიზაცია შეუძლებელია შრომითი პოტენციალის ფორმირების, განაწილებისა და გამოყენების ეფექტიანი მექანიზმის შექმნის გარეშე.

ახალგაზრდობის დასაქმების სირთულეები განპირობებულია ერთი მხრივ, შრომის ბაზარზე ახალგაზრდა სპეციალისტებზე მოთხოვნის დაბალი დონით, მეორე მხრივ იმით, რომ გამკაცრდა მოთხოვნები კვალიფიკაციის დონისადმი. დამქირავებლები თვლიან, რომ ახალგაზრდების ნაწილს არასაკმარისი პროფესიული მომზადება აქვს, არ აქვთ ჩამოყალიბებული შრომითი ჩვევები, არ გააჩნიათ მუშაობის გამოცდილება, დაბალია პასუხისმგებლობის გრძნობა და დიდია პრეტენზიები შრომის ანაზღაურების დონის მიმართ. თავის მხრივ, ხშირად ახალგაზრდები სამუშაოს შერჩევისას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ შრომის პროფესიულ-კვალიფიციურ მხარეს და უპირატესობას ანიჭებენ მაღალ ხელფასს, თვითდაჯერებულნი არიან თავის შესაძლებლობებში და თვლიან, რომ მიღებული სპეციალობა და ცოდნა არ შეესაბამება შეთავაზებულ სამუშაო პირობებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალგაზრდების დასაქმების რეგულირება სპეციფიკურ მიდგომას მოითხოვს. შრომის ბაზრის მკვლევარები, დასაქმების სამსახურების, პროფკავშირების წარმომადგენლები ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავენ, რომ ამ საქმეში გადამწყვეტია ახალგაზრდების სწორი პროფესიული ორიენტაცია და კადრების მომზადება, რაშიც მნიშვნელოვანია ყველა დონის პროფესიული სკოლის როლი.

მნიშვნელოვანია პროფორიენტაცია, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტებთან მუშაობას დამატებითი სასწავლო კურსების ორგანიზებისა და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას;

- სარეკომენდაციო სამუშაოები, რაც გულისხმობს სასწავლო გეგმების კორექტირებას, დამქირავებელთა მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას და შრომის ბაზრის პერსპექტივების გათვალისწინებას;
- დამქირავებლებთან მუდმივი თანამშრომლობა - ახალი პროფესიების პრეზენტაცია, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარება;
- თანამშრომლობა სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან, დასაქმების ცენტრებთან, მუნიციპალურ ორგანოებთან.

ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების საქმიანობა ფასდება მათზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხით, რაც გამოიხატება უპირველეს ყოვლისა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომით მოწყობაში (სტაჟირება და პროფესიული პრაქტიკა, დროებითი დასაქმება სწავლის პერიოდში, შრომითი მოწყობა სასწავლებლის დამთავრების შემდეგ), ასევე სტრატეგიული ამოცანების სწორად განსაზღვრასა და გადაწყვეტაში. ამ ამოცანებიდან უმთავრესია სასწავლო პროგრამების აქტუალურობისა და თავისებურებების გამოვლენა, მისი შესაბამისობა ანალოგიური პროფილის სასწავლებლების პროგრამებთან, საკუთარი სპეციფიკის, უპირატესობების დასაბუთება და თავისი სეგმენტის გამოკვეთა როგორც საგანმანათლებლო მომსახურების, ასევე შრომის ბაზარზე. დასაქმების ხელშეწყობის ცენტრების ეფექტიანი საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მონაცემთა ბაზების არსებობა ვაკანსიების შესახებ, პროფორიენტაციული სამუშაოების ჩატარება სტუდენტებთან, სამეცნიერო სამუშაოების კოორდინაცია შრომითი მოწყობის ხელშეწყობის მიზნით,

ინფორმირებულობა შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო პროგრამების კორექტირებისა და სპეციალობების პროფილის შეცვლასთან დაკავშირებით -სპეციალისტებზე მოთხოვნის ცვლილებების გათვალისწინებით.

ახალგაზრდების დასაქმებაში დიდი სირთულეები შეიქმნა დსთ-ს სივრცის ცალკეულ რეგიონებშიც, რადგან აქაც არანაკლები სიმწვავით წარმოჩინდა გარდამავალი პერიოდისათვის ნიშანდობლივი პრობლემები - მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემა, პროფესიული მომზადების ტრადიციული სისტემის მოშლა, ახალგაზრდებს შორის დანაშაულობების ზრდა და ა.შ. მაგალითად, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა ახალგაზრდობის დასაქმების რეგიონული პოლიტიკის შემუშავებისა და რეალიზაციის ამოცანა, რაც ითვალისწინებს სამართლებრივი, ეკონომიკური და ორგანიზაციული პირობების უზრუნველყოფას, ახალგაზრდების თვითრეალიზაციის მიზნით.

რეგიონში ახალგაზრდობისათვის შემუშავდა სპეციალური პროგრამა "სამუშაოს ძიების ტექნოლოგია", რომელიც ითვალისწინებს მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, პროფესიულ მობილობას, პროფორიენტაციულ კონსულტაციებს – პროფესიის სწორად არჩევის მიზნით, შეხვედრებს დამსაქმებლებთან, ფსიქოლოგიურ მომზადებას ნებისმიერი სახის შრომითი საქმიანობისათვის. პროგრამის განხორციელებას კოორდინირებას უწევს დასაქმების სამსახური. პროგრამის ფარგლებში იგი უზრუნველყოფს სრულფასოვანი საინფორმაციო ბაზის შექმნას, უმუშევარი ახალგაზრდებისათვის ინფორმაციის მიწოდებას არსებული ვაკანსიებისა და იმ პროფესიული მოთხოვნების შესახებ, რომელსაც მათ წინაშე შრომის ბაზარი აყენებს.

ცნობილია, რომ განათლების სისტემა სრულყოფილად არ არის ადაპტირებული შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. სპეციალისტთა ქაოსური მომზადება დამახასიათებელია აღნიშნული რესპუბლიკისთვისაც, ამიტომ აუცილებელი ხდება სპეციალისტთა სისტემატური გადამზადება. მაგალითად, 2017-2018 წლებში დასაქმების სამსახურის მეშვეობით გადამზადება გაირა 4194 ათასმა.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა ყოველთვის გამოირჩეოდა შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის მაღალი ხვედრითი წონით, ადვილი მისახვედრია იმ პრობლემის სიმწვავე, რაც ახალგაზრდობის, და განსაკუთრებით ქალთა დასაქმებასთანაა დაკავშირებული. რეგისტრირებულ უმუშევართა შორის 33,0% _ 15-24 წლის ასაკის ქალიან, ხოლო 15-24 წლამდე მამაკაცების უმუშევრობის პროცენტული დონე 26%-ს შეადგენს.

სპეციალისტთა დასაქმებაში სერიოზულ პრობლემებს ქმნის სპეციალისტთა მომზადებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობა. ახალგაზრდებში სამართლიანად ჩნდება ეჭვი სოციალური სამართლიანობის მიმართ, რაც ამძაფრებს აგრესიასა და პროტესტის გრძნობას სახელმწიფოს მიმართ.

ახალგაზრდების დასაქმება, უმწვავესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მომენტები:

- სამუშაო ძალის სიჭარბე, რაც განპირობებულია დემოგრაფიული ფაქტორებით, ეკონომიკური პოტენციალის არასაკმარისი განვითარება, საკუთარი საინვესტიციო რესურსების მწვავე დეფიციტი ძირითადი კაპიტალის აღდგენისა და ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად;
- სოფლის მოსახლეობის დასაქმების დაბალი დონე (უმუშევართა 50,0%-ს სოფლის მოსახლეობა შეადგენს);
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მკვეთრი დისბალანსი;
- იძულებითი არასრული დასაქმების დიდი მასშტაბები;
- ძირითადი კაპიტალის ცვეთა და სამუშაო ადგილების ხარისხობრივი მახასიათებლების გაუარესება, რის შედეგადაც უარესდება სამუშაო ძალის ეფექტიანად გამოყენების მაჩვენებელი;
- პროფესიული განათლების სისტემის არასაკმარისი ადაპტაცია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებთან.

დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება და ახალგაზრდობის დასაქმებისათვის ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. თვით უმაღლესი სასწავლებლები

არიან დაინტერესებულნი საკუთარი კურსდამთავრებულების შრომით მოწყობაში. მათ მუდმივი კონტაქტი აქვთ დამქირავებლებთან და მათგან ითხოვენ საჭირო ინფორმაციას თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ.

დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს შრომით მოწყობაში აქტიურ დახმარებას უწევენ შრომის ბირჟები, რომლებიც შრომისა და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. შრომის ბირჟებზე ფუნქციონირებენ სპეციალური საინფორმაციო და საკონსულტაციო ცენტრები ახალგაზრდობისათვის. სწორედ უმაღლესი სასწავლებლებისა და შრომის ბირჟების კოორდინირებული თანამშრომლობის შედეგია ის, რომ უკანასკნელ წლებში უმაღლეს დამთავრებულთა შორის უმუშევრობის დონე 9,3%-დან 7,8%-მდე შემცირდა. კვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ზრდას ხელი შეუწყო ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებამ.

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისაგან განსხვავებით, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში უკვე ჩამოყალიბებულია შრომის ბაზრის სრულფასოვანი ინფრასტრუქტურა და შესაბამისად, ბაზარიც გამართულად ფუნქციონირებს. მოსახლეობის და მათ შორის ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო რეგულირება მინიმუმამდეა დაყვანილი. როგორც აღვნიშნეთ, განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში, უკანასკნელ წლებში, სახელმწიფო სულ უფრო ნაკლებად ერევა შრომის ბაზრის რეგულირებაში, რაც გარკვეულწილად დასაქმების არასტაბილურობას განაპირობებს. სახელმწიფოს თითქმის ჩაურევლობა შრომის ბაზრის ფუნქციონირებაში, გაცილებით მტკივნეულად შეეხო ახალგაზრდებს.

განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში დასაქმების სფეროში არსებულ რეალურ მდგომარეობას გარკვეულწილად ამძიმებს "იმედგაცრუებულთა" კატეგორია. იგი შრომისუნარიანი მოსახლეობის ის ნაწილია, რომელსაც არა აქვს სამუშაო, სურვილი აქვს იმუშაოს, მაგრამ აქტიურად არ ეძებს სამუშაოს იმის გამო, დაკარგული აქვს მისი პოვნის იმედი.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქვეყანაში განსაკუთრებით მწვავედ დგას ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემა. ამის მიუხედავად, სახელმწიფოს მიერ მისი პირდაპირი რეგულირება

(უშუალო ადმინისტრირების გზით), მიზანშეუწონლად მიგვაჩნია, როგორც უკრაინის პრაქტიკამ აჩვენა, ასეთ ჩარევას უკუშედეგი მოჰყვა. ჩემი აზრით, გაცილებით ეფექტიანი იქნება, სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებიდან, ჩვენი რეალობისათვის მისაღები მხარეების გათვალისწინება. უპირველეს ყოვლისა უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ნორმატიული ბაზა; სახელმწიფოს ხელშეწყობით შეიქმნას ახალგაზრდული შრომითი ცენტრები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გააქტიურდეს მუშაობა ახალგაზრდობის პროფორიენტაციის მიმართულებით, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით მუშაობას სტუდენტებთან და საჭირო ინფორმაციის მიწოდებას; საჭიროა აგრეთვე დამქირავებლებთან მუდმივი თანამშრომლობა - ახალი პროფესიების პრეზენტაცია, სემინარებისა და კონფერენციების ჩატარება; სასურველია აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზებასა და ახალგაზრდების დროებით დასაქმებაში; დასაქმების სახელმწიფო რეგულირებიდან პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ახალგაზრდების დახმარებას საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში, რაც უნდა გამოიხატოს ეკონომიკური საქმიანობისათვის შეღავათიანი კრედიტების გაცემაში, სპეციალური საკონსულტაციო ცენტრების შექმნაში, რომლებიც ახალგაზრდებს დაეხმარებიან ბიზნეს-გეგმის შედგენაში, სამეწარმეო საფუძვლების შესწავლაში და საკუთარი საქმის დაწყებისათვის საჭირო საორგანიზაციო სამუშაოების ჩატარებაში.

3.2. ახალგაზრდობის დასაქმების აქტიური პოლიტიკა

თანამედროვე პირობებში ახალგაზრდებისათვის არსებითად შეიცვალა ეკონომიკური, სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო და ფასეულობები. შესაბამისად, ისინი იძულებულნი არიან შეეგუონ ახალ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოს. ბუნებრივია, რომ ამგვარი ადაპტაცია ახალგაზრდების უმეტესობისათვის საკმაოდ დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია სისტემური, მეცნიერულად დასაბუთებული, პრაქტიკულად გამყარებული მოქმედების გრძელვადიანი გეგმის შემუშავება, რომელიც სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა გამოიყოს და მისი რეალიზაცია

უნდა ემსახურებოდეს ქვეყნის აღმშენებლობას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა:

- პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცება;
- საინვესტიციო და საქმიანი კლიმატის გაუმჯობესება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმირება და ეფექტიანობის ამაღლება;
- სამართლებრივი სისტემის მოდერნიზაცია;
- სოციალური სფეროს საფუძვლიანი რეფორმირება;
- აქტიური პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო უსაფრთხოებასა და სტაბილურობას;
- მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრირება.

ყოველივე ზემოაღნიშნული ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ინტეგრირებას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, მსოფლიო მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურისა და ინფორმაციის მიღწევების დაუფლებას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულია ახალგაზრდობის ფუნქცია, რომელსაც საზოგადოების ვერცერთი სხვა სოციალური ჯგუფი ვერ იტვირთებს. ახალგაზრდობას გამორჩეული სოციალური აღმშენებლობის ფუნქცია აკისრია მომავალი თაობების წინაშე. იგი შეუცვლელია ახალი პროფესიების ათვისების, ძალოვანი სტრუქტურების ფორმირების, ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია მათი ცხოვრებისეული გამოცდილების უქონლობა, გამოუცდელობა და ხშირი შეცდომები საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებების მიღებისას. სწორედ ამიტომ, ახალგაზრდობა განათლების, აღზრდის და საზოგადოებაში ადაპტაციის სპეციფიკურ ობიექტის წარმოადგენს.

ახალგაზრდობის თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალებაა მათი დასაქმება მიღებული განათლებისა და სპეციალობის შესაბამისად. ახალგაზრდობის დასაქმება უნდა განხორციელდეს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის საფუძველზე, რაც უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სპეციალური ღონისძიებების სისტემის შემუშავებას, რომლითაც საშუალება მიეცემა ახალგაზრდას პრაქტიკულად გამოავლინოს მიღებული ცოდნა, განიმტკიცოს შრომითი უნარ-ჩვევები,

აიმაღლოს კვალიფიკაციის დონე და დაიმკვიდროს სოციალური სტატუსი საზოგადოებაში.

ახალგაზრდობის დასაქმების აქტიური პოლიტიკის რეალიზაციას შესაფერისი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო ესაჭიროება.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციების გათვლებით, 100 მილიონზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი უნდა იქნეს შექმნილი უახლოეს 20 წელიწადში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაფერისი სამუშაო ადგილებით განვითარებადი ქვეყნების ახალგაზრდები.

ევროკავშირის საპროგრამო დოკუმენტებში, უმაღლესდამთავრებულთა კატეგორია, რომლებიც შრომით მოწყობას საჭიროებენ, ახალგაზრდობის დასაქმების საერთო პრობლემებიდან ცალკე არ არის გამოყოფილი. 1996 წლის 5 ივნისის შეთანხმებაში, "მოქმედება, რომელიც მიმართულია ევროპაში დასაქმების დონის ასამაღლებლად", ნათქვამია, რომ "უმუშევრობა ევროპაში 25 წლამდე ახალგაზრდებში 5 მილიონს აღწევს (უმუშევართა საერთო რიცხოვნობის თითქმის ნახევარი). უმუშევრობა ახალგაზრდებს შორის ორჯერ მეტია, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობაში."

ახალგაზრდობის დასაქმებაში განმსაზღვრელი როლი განათლებასა და პროფესიულ მომზადებას ენიჭება.

ევროკომისიის ანგარიშის თანახმად, "საგანმანათლებლო სისტემის კონკრეტული მიზნები მომავალში", ლისაბონის სამიტმა გრძელვადიან მიმართულებებში საყოველთაო დასაქმება გაითვალისწინა. ახალი, მთავარი მიმართულება ეყრდნობა ორიგინალურ სტრუქტურას, რომელიც ოთხ ძირითად პრინციპს აერთიანებს: მეწარმეობა, სამუშაოზე დაქირავების შესაძლებლობა, სოციალური ადაპტაცია და დასაქმების თანაბარი პირობები. ახალგაზრდობის დასაქმება უნდა დაუფუძნოს ასევე ორ მნიშვნელოვან მიმართულებას: სოციალურ პარტნიორობას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციას.

ევროკავშირში დასაქმების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად უწყვეტი განათლება ითვლება. ახალგაზრდისათვის დასაქმება ნიშნავს, ჰქონდეს სრულფასოვანი ადამიანის სტატუსი, პატივისცემა საზოგადოებაში, ფინანსური დამოუკიდებლობა, სოციალური კონტაქტების გაფართოების შესაძლებლობები. ისინი, ვისაც არა აქვს სამუშაო, კარგავენ

საზოგადოებაში ინტეგრირების შანსს, რასაც ახალგაზრდები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ.

ახალ კურსდამთავრებულთა დასაქმებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპეციალისტთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. შრომის ბაზრის სისტემატური კვლევისა და მონიტორინგის საფუძველზე უნდა დადგინდეს რეალური მოთხოვნა სამუშაო ძალაზე როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონისა და ცალკეული ქალაქის მასშტაბით. საზოგადოება და განსაკუთრებით ახალგაზრდობა ინფორმირებული უნდა იყოს მომზადებული სპეციალისტებისა და პროგნოზირებადი სამუშაო ადგილების, თანამედროვე, პერსპექტიული სპეციალობებისა და მათი გამოყენების შესახებ.

ახალგაზრდების დასაქმების რეგულირების ერთ-ერთ მიმართულებად უნდა გამოიყოს უმაღლესი სასწავლებლებლების კურსდამთავრებულთათვის (ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც პირველად გადიან შრომის ბაზარზე) შესაფერისი სამუშაო ადგილების მოძიებაში ხელშეწყობა, რადგან ხანგრძლივი, ქრონიკული უმუშევრობის შემთხვევაში, ახალგაზრდის ენერგიამ ადვილად შეიძლება მიიღოს დესტრუქციული, აგრესიული ფორმა.

ახალგაზრდების დასაქმების რეგულირებაში მნიშვნელოვანია:

- შრომის ბაზრის კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება;
- სამუშაო ძალის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროგნოზირება;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილებების ტენდენციების პროგნოზირება;
- შრომის ბაზრის სტრუქტურის ცვლილების ანალიზი და პროგნოზი;
- დასაქმების დინამიკის შესწავლა;
- სამუშაო ადგილების სტრუქტურის და მათი ხარისხობრივი მახასიათებლების ანალიზი;
- პროფორიენტაციის მიზნით ჩატარებული სამუშაოების ანალიზი;
- დასაქმების სფეროში სოციალურ პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა.

მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნულის რეალიზაციაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს სახელმწიფომ. დასაქმების სამსახურის მოქმედება მიმართული უნდა იყოს ქვეყნის საკადრო პოლიტიკის რაციონალიზაციაზე, ახალგაზრდა კადრების სრულფასოვან პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე. ამ მიმართულებით შესაბამისი სამსახურების საქმიანობის ამოცანებია:

- სამუშაო ძალის პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის მიახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- დამქირავებელთა (დამსაქმებელთა) მოთხოვნების მუდმივი შესწავლა და გათვალისწინება უმუშევართა მომზადებისა და გადამზადების პროცესში;
- შრომითი საქმიანობის პრიორიტეტული სფეროების გამოვლენა და დასაბუთება;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან თანამშრომლობა ახალგაზრდობის პროფესიული აღზრდის სრულყოფის მიზნით, განსაკუთრებით იმ ჯგუფებისათვის, ვინც სოციალურ დაცვას საჭიროებს;
- პროფესიული მომზადების კურსების ორგანიზება სპეციალურად უმუშევარი ახალგაზრდებისათვის;
- გადასამზადებელი კონტინგენტის საკონკურსო შერჩევა, სწავლების ვადებისა და სწავლებაზე დანახარჯების ოპტიმიზაცია;
- საბიუჯეტო დაფინანსების გარდა, ალტერნატიული წყაროების მოძიება, გადამზადების პროგრამების გასაფართოებლად;
- მუდმივი მონიტორინგის ჩატარება გადამზადებული კადრების კვალიფიციური დონისა და განხორციელებული სამუშაოების შეფასებისათვის;
- ახალგაზრდების ინფორმირებულობა პირველადი პროფესიული განათლების მიღების, დამატებითი პროფესიის შეძენის, გადამზადების აუცილებლობის შესახებ შემდგომი შრომითი მოწყობის უზრუნველყოფის მიზნით;

- სწორი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბების მიზნით, ახალგაზრდობასთან როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური მუდმივი საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობა. ყველაზე დიდ დახმარებას შრომით მოწყობაში საჭიროებს ახალგაზრდების ის ნაწილი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობები გააჩნიათ. ამ მიმართულებით ახალგაზრდების დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზანი უნდა იყოს შეზღუდული შრომის უნარის მქონე კატეგორიისათვის შესაფერისი პირობების შექმნა, რაც გამოიხატება სპეციალური კვოტების დადგენაში. ეს მათი გარკვეული ნაწილის გარანტირებული დასაქმების წინაპირობა იქნება. სავალდებულო წესით დადგენილი კვოტების აუთვისებლობის შემთხვევაში, დამქირავებლის მიმართ შემოღებული უნდა იქნეს მკაცრი საჯარიმო სანქციები.

გარანტირებული სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პრიორიტეტული პროფესიების ჩამონათვალის შემუშავება-დამტკიცება და აღნიშნული კატეგორიის ახალგაზრდების პროფესიული მომზადება-გადამზადება საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე. დასაქმების ხელშეწყობასთან ერთად, რაც მათ მატერიალურ სტიმულირებას უზრუნველყოფს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება, ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და საზოგადოებრივ რეაბილიტაციას.

თავი IV. დასაქმების პრობლემების საქართველოში და მისი თავისებურებები

ქვეყნის ერთ-ერთ დიდ პრობლემას წარმადგენს ახალგაზრდების დასაქმება და მასთან დაკავშირებული გამოწვევები. სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულებიდან ერთ-ერთი უმუშევრობის დაძლევაა. სახელმწიფოს უმრავლესი ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმებში შედის მიზნები, ამოცანები და კონკრეტული აქტივობები, რომლითაც აღმოიფხვრება უმუშევრობა.

სამწუხაროდ, ახალგაზრდების უმეტესობა(55.3%) სამუშაო საარსებო წყაროდ განიხილავს და არა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალებად. არსებობს ქვეყანაში ახალგაზრდა უმუშევართა ის კატეგორიაც, რომელსაც ერთხელაც არ უცდია სამსახურის დაწყება, ახალგაზრდების ასეთი პასიურობა გამოწვეულია საკუთარი შესაძლებლობების დაბალი თვითშეფასებით. საპირისპიროა დასაქმებული ახალგაზრდების თვითშეფასება, რადგან ისინი უფრო მეტად არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები და თავს რეალიზებულ პიროვნებებად თვლიან, რაც ეხმარებათ საკუთარი თავისადმი რწმენისა და ნდობის მოპოვებაში. იმ ახალგაზრდების თვითშეფასება უფრო კნინდება, რომლებიც სამსახურის ძიების პროცესში არიან, რადგან სამსახურის ძიების პროცესში რომელსაც ახლავს გასაუბრებები, საიდანაც ხშირად იმედგაცრუებულები და უიმედოები რჩებიან, ამიტომაც საკუთარი თავისადმი რწმენა მეტად მცირდება. პასიური ახალგაზრდების გარკვეულმა ნაწილმა არც კი იცის, როგორ მოძებნოს სამსახური და შემდგომ დასაქმდეს. ახალგაზრდების აზრით, არსებობს სამი უმნიშვნელოვანესი პუნქტი, რომელიც მნიშვნელოვანია სამსახურის დასაწყებად:

1. პროფესიული უნარები/კვალიფიკაცია(58.5%);
2. საჭირო კონტაქტები(31.9%);
3. კომპიუტერული უნარ-ჩვევები(28.9%).

როგროც დაუსაქმებელი ახალგაზრდების უმეტესობა ისე დასაქმებულების (65,9%) თვლის, რომ სამსახურის დასაწყებად აუცილებლი პირობაა ნაცნობობა და საჭირო კონტაქტები. ჩემს მიერ წარმოდგენილი მონაცემები ეფუძნება კვლევას,

რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ჩაატარა 2016 წლის 14 ივნისს. არსებული კვლევა მოიცავს ივნისიდან დეკემბრის ჩათვლით პერიოდს, ხოლო საველე სამუშაოები ჩატარდა 2016 წლის აგვისტოდან სექტემბრის ჩათვლით.

გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოში ჩატარდა „მოსახლეობის კეთილდღეობს კვლევა“, რომლის საფუძველზეც დაიდო დასკვნა, რომ ქვეყანაში სიღარიბის მაჩვენებელი გაზრდილია. არსებული კვლევა ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება UNICEF-ის მიერ. არსებული კვლევის თანახმად სიღარიბის მასშტაბები და სიმძაფრე უფრო ბავშვებში და მოხუცებში იგრძნობა. არსებული კვლევის თანახმად 2013 წელს მოსახლეობის 3,9% უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე იყო, ეს მაჩვენებელი 2,1%-ით შემცირდა 2015 წელს, ხოლო 2017 წელს მოსახლეობის 5%-ი აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობს. აქედან პენსიონერების წილი 2014 წელს 1,9%-ი იყო, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდნენ, აქაც დაკლებულია პროცენტული მაჩვენებელი 0,2%-ით, 2015 წელს 1,7% იყო, ხოლო 3,7%-ი იყო ეს მაჩვენებელი 2017 წელს. 2013 წლის მონაცემებით ბავშვების 6%-ი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობდა 2,5%-იყო 2015 წელს, ხოლო 6,8%-ს მიაღწია 2017 წელს.

არსებული პოლიტიკა წარმოადგენს ქვეყნის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსს, რომლის მიზანს და ამოცანას წარმოადგენს ახალგაზრდების პიროვნული თვითრეალიზაციისათვის საჭირო სამართლებრივი, ეკონომიკური, ორგანიზაციული პირობებისა და გარანტიების შექმნა, ახალგაზრდების არასამთავრობო გაერთიანებების, ახალგაზრდული მოძრაობისა და ინიციატივების განვითარება. არსებული პოლიტიკა ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, რაც მთავარია ქვეყნის სტრატეგიული პოლიტიკური კურსიდან გამომდინარე, ამასთანავე სახელმწიფოს დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მომავალი თაობის მიმართ გამოიხატება აქტიური პოლიტიკის, ინიციატივის, თავისუფალი არჩევანის, სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისთვის ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნით. ამგვარი დამოკიდებულება და ხელშეწყობა სახელმწიფოს

მხრიდან დიდ როლს ითამაშებს ახალგაზრდების თვითრეალიზაციის, ჯანსაღი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კუთხით.

ახალგაზრდების ხელშემწყობი პირობები მოიცავს ახალგაზრდების ჩართულობას საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყველა დონესა და სფეროში. ეს გახდება ხიდი მოზარდებისა და ახალგაზრდების დამაკავშირებელი უფროს თაობასთან. ამგვარი ხელშემწყობი პირობებისა და გარემოს შექმნა/სრულყოფა მუდმივი პროცესია, რომელიც საქართველოში ვითარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული „ახალგაზრდობასთან დაკავშირებული მსოფლიო სამოქმედო პროგრამის“, „ბავშვის უფლებათა კონვენციის“, „ადგილობრივ და რეგიონალურ სტრუქტურებში ახალგაზრდების მონაწილეობის შესახებ ევროპის ქარტიის“, გაეროს ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი მინისტრების I მსოფლიო კონფერენციის, ევროპის საბჭოს ქვეყნების ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელი მინისტრების I-V კონფერენციების შემაჯამებელი დოკუმენტების, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინებით.

ახალგაზრდების მხარდაჭერა სახელმწიფოს მხრიდან უნდა ხდებოდეს შემდეგნაირად:

- ყველა ახალგაზრდას უნდა ჰქონდეს საშუალება მიიღოს განათლება, შეიძინოს ყველა ის უნარი, რომლის საშვალებითაც შეძლებს გახდეს საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, თავი კომფორტულად იგრძნოს ყველ სფეროში, რათა შეძლონ საკუთარი თავის/უნარების რეალიზება და ეკონომიკურად დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობა;
- ხელი შეუწყოს და პატივი სცეს განსხვავებული პოლიტიკის, მრწამსის, კულტურის, სქესის, ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლებს;
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ფსიქიკურ, მორალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობას;
- ახალგაზრდების ჩართულობა გაზარდოს გარემოს დასაცავად და გასაუმჯობესებლად/გასაჯანსაღებლად სხვადასხვა პროექტების განხორციელების გზით;

- სოციალური პოლიტიკის უმთავრესი მიზანი იყოს დასაქმების დონის ზრდა(უმუშევრობის ბუნებრივი დონის შემცირება), ამასთანავე დიდი ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდების დასაქმებას და შეამციროს ბავშვების დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი.

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) უკვე 20 წელზე მეტია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან, რომლის მიზანია ყველა იმ პრობლემის აღმოფხვრა, რომელიც აწუხებს ყველა ბავშვსა და ახალგაზრდას, გოგოსა და ბიჭს მთელი ქვეყნის მასშტაბით. სახელმწიფომ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რის შედეგადაც ახალგაზრდების აქტიურად შეძლებენ ჩაებან სოციალური ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

2010 წლიდან გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) და გაეროს მოსახლეობის ფონდი (UNFPA) ტექნიკურ მხარდაჭერას და კონსულტაციას უწევენ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საქართველოში პირველი ეროვნული ახალგაზრდული გეგმის შემუშავებაში.

ბავშვთა ფონდის (UNICEF) და საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდების საქმეთა სამინისტროს მიერ დაიწყო კვლევა საქართველოს ახალგაზრდების მდგომარეობის შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით.

კვლევის შედეგად შეიქმნა გეგმა, რომლის საფუძველზეც მოხდება ახალგაზრდების ინტეგრირება საზოგადოებასთან. კვლევის ძირითადი მიზანი გახდა ახალგაზრდების ჩართულობა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ სფეროებში. ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადენდა ახლგაზრდების განათების დონის ამაღლება, დასაქმებისა და მობილურობის ხელშეწყობა. აგრეთვე მათი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღის განმტკიცება და შენარჩუნება.გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) მზადაა მხარდაჭერის აღმოსაჩენად ამ პროცესში უწყვეტი ტექნიკური დახმარებისა და პოლიტიკის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის საშუალებით და „ახალგაზრდობის ეროვნული კვლევის“ შედეგების გათვალისწინებით.

„ახალგაზრდების ეროვნული კვლევის“ ძირითადი შედეგები შემდეგია:

[2]

- სამწუხაროდ, საქართველოში ახალგაზრდების უმეტესობამ (69,2%) არ იცის ბავშვთა უფლებების კონვენციის შესახებ, ხოლო ვინც ინფორმირებულია გარკვეულ წილად ძირითადად კონვენციის სიცოცხლის უფლების კონვენციის შესახებ იციან. არ არიან ინფორმირებულები განვითარების, დაცულობისა და მონაწილეობის უფლებათა კონვენციაზე;
- საქართველოში ახალგაზრდებს არასწორი ინფორმაცია აქვთ საზოგადოების უფლებებისა და მოვალეობებზე და სამოქალაქო ვალდებულებებზე;
- ახალგაზრდების მხოლოდ 10,9% იღებს მონაწილეობას ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. საქართველოში ახალგაზრდები არ არიან აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- შეუსაბამობაა განათლების დონესა და დასაქმების შესაძლებლობას შორის.
- საქართვლოში ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილების ზრდა, მათი აზრით, ეს ქვეყნისა და ზოგადად მსოფლიო მდგომარეობის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა. მათთვის მნიშვნელოვანია ჯანდაცვის გაუმჯობესება, ჯანსაღი საკვების მიღება, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება, ხარისხიანი განათლების მიღება და რაც მთავარია ჯანსაღად და სამართლიანად მოაზროვნე მთავრობა, რომელსაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხისადმი დიდი პასუხისმგებლობა ექნებათ, რომელსაც პირნათლად შეასრულებენ.

ახალგაზრდების დასაქმებასთან დაკავშირებული ფუნდამენტური ფაქტორები: ხარისხიანი განათლება ხარისხიანი განათლება პირდაპირაა დაკავშირებული ახალგაზრდების დასაქმებასთან. დღესდღეობით ქვეყნის ბიუჯეტის 8%-ი ხმარდება

[2] არსებული ინფორმაცია აგებულია “UNICEF IP Georgia” ერთობლი კვლევის საფუძველზე, რომელიც ეხება ახალგაზრდების დასაქმების პრობლემას საქართველოში_http://unicef.ge/uploads/WMS_brochure_unicef_geo_web.pdf.

განათლებას. სახელმწიფომ ჩამოაყალიბა განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობენ წარმატებული მეცნიერები. 2013 წლიდან განთლების სფეროზე კიდევ უფრო მეტი იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მატერიალური რესურსების გადანაწილების შემთხვევაში განათლების სისტემის დაფინანსების ზრდა უფრო დიდ დადებით ეფექტს იძლევა ისეთ განვითარებად ქვეყნებში როგორიც საქართველოა, ვიდრე იგივე ცვლილების განხორციელება განვითარებულ ქვეყნებში. მნივშენლოვანია განათლების ხარიხის და ახალგაზრდების სწავლის შედეგები იყოს მაღალი და ხარისხიანი, რომლისთვისაც აუცილებელია სამართლიანი და ადეკვატური დაფინანსების სისტემის არსებობა. განათლების ხარისხიანებისა და პრიორიტეტულობის გარდა აუცილებელია ის ყველასთვის თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი. ხელმისაწვდომი განათლება საჭიროა არამარტო განათლებული საზოგადოებისთვის, არამედ ძლიერი სახელმწიფოსთვისაც. სახელმწიფო პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტი სწორედ მომავალი თაობისათვის განათლების უზრუნველყოფა და შესაბამისად ქვეყნის მომავალში რესურსების ინვესტირება უნდა წარმოადგენდეს. მნიშვნელოვანია სახელმწიფომ მეტი ფინანსური რესურსი გამოყოს ისეთი პროგრამებისთვისა, როგორიცაა ინკლუზიური განათლება, ეთნიკური უმცირესობისთვის განათლების ხელშეწყობა. ერთ-ერთი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქართული სახელმძღვანელოების არ არსებობა უნივერსიტეტებში. წიგნების არსებული რაოდენობა საკმაოდ მცირეა იმისთვის, რომ სტუდენტმა მიიღოს შესაბამისი კვალიფიკაციის განათლება. გამომდინარე იქედან, რომ ქართული სახელმძღვანელოები ან არ არსებოს ან მცირედი ნაწილია ეს დამაბრკოლებელია სტუდენტისთვის სრულფასოვნად აითვისოს მასალა. ამიტომ აუცილებელია მეტი სახელმძღვანელო ითარგმნოს უცხოურიდან ქართულ ენაზე, რათა სტუდენტმა მიიღოს საფუძვლიანი განათლება, ვისურვებდი ისეთი სახელმძღვანელოებიც არსებობდეს, რომელიც ქართულ რეალობას აღწერს ყველა სფეროსა და ჭრილში. ჩემი აზრით, განათლების ხარისხის გაუმჯობესებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფილური უნივერსიტეტების არსებობა საქართველოს მასშტაბით.

პროფესიული/საგანმანათლებლო ტრენინგებისა და პრაქტიკის როლი ახალგაზრდების წინსვლისთვის

დღესდღეობით პრობლემას წარმოადგენს ის საკითხი, რომ უმრავლეს უნივერსიტეტში სწავლების პროცესი მიმდინარეობს თეორიული კუთხით, რაც საკმარისი არაა პროფესიონალური წინსვლისთვის. ჩემი აზრით, თეორიულ ცოდნასთან ერთად აუცილებელია პრაქტიკული ცოდნაც, როგორც უნივერსიტეტში, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორში. ეს ყველაფერი საჭიროა იმისთვის, როდესაც სამომავლოდ კურსდამთავრებული დაიწყებს სამსახურის ძიებას უპირატესობა ექნება მას, რადგან მას საკუთარი პროფესიით გავლილი ექნება სტაჟირება, კურსდამთავრებულთა სამწუხაროდ დამსაქმებლების გარკვეული ნაწილი სამუშაო გამოცდილებისა და სტაჟირება გავლილი კადრების დასაქმებას ცდილობს. ძლიერ პროფესიულ და საგანმანათლებლო სისტემას არსებითი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდების წარმატებაში. მნივშენლოვანია, რომ კურსდამთავრებულს ორმაგი განათლება ჰქონდეს, პრაქტიკული და თეორიული განათლება, რადგან შრომის ბაზარზე ადვილად დაიმკვიდროს თავი. აღნიშნული სისტემა წარმატებით მოქმედებს ევროპის წამყვან ქვეყნებში. არსებული სისტემა გულისხმობს ტრეინინგებსა და პრაქტიკებს კომპანიებში. დამსაქმებლები, სახელმწიფო და საგანმანათლებლო დაწესებულებები პასუხისმგებლები არიან ახალგაზრდების პროფესიულ გადამზადებაზე. უნდა გაიზარდოს დაფინანსება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა ახალგაზრდებმა რომლებიც ეუფლებიან კონკრეტულ ხელობას, შეძლონ პრაქტიკაში მათი ცოდნის ეფექტური გამოყენება.

4.1 ევროკავშირის დასაქმების პოლიტიკა

ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის უმთავრესი ელემენტია მშრომელთა უფლებების სოციალური ქარტია, რომელსაც სტრასბურგში 1989 წლის დეკემბერში ხელი მოაწერა მთავრობის 12 მეთაურიდან 11-მა. გაერთიანებული სამეფოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ ტეტჩერმა უარი განაცხადა ქარტიაზე ხელის მოწერაზე იმ არგუმენტით, რომ ქარტიის მიღება გამოიწვევდა მისი მთავრობის მიერ შრომის ბაზრის

დამოუკიდებლობისათვის ჩატარებული ღონისძიებების უკუქცევასა და უმუშევრობის კიდევ უფრო გაზრდას დამსაქმებელთა მიერ ახალი სამუშაო ადგილების შექმნის შეკვეთით.

სოციალური ქარტია თავდაპირველად ჟაკ დელორის ჩანაფიქრს წარმოადგენდა, რომლის რწმენითაც 1992 წლის პროგრამის განხორციელებით ძირითადად ევროპული კომპანიები ისარგებლებდნენ, რომელთა მოგებაც გაიზრდებოდა ბარიერების გაუქმების შედეგად ევროპის მასშტაბით. მან წარმატებით დაარწმუნა მთავრობები (გაერთიანებული სამეფოს გარდა), რომ 1992 წლის პროგრამის პარალელურად უნდა განხორციელებულიყო ქმედებები მშრომელთა სოციალური და სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიზნით.

თავად ქარტიას უფრო დეკლარაციის სახე ჰქონდა, თუმცა მას უნდა მოჰყოლოდა 47 კანონისაგან შემდგარი სოციალური ქმედების პროგრამა, რომელიც მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცების შემთხვევაში იურიდიულად სავალდებულო გახდებოდა წევრი ქვეყნებისთვის, მათ შორის, გაერთიანებული სამეფოსათვის.

1992 წლის ევროკავშირის მოლაპარაკებაზე გამყარდა და გაფართოვდა 1989 წლის მთავრობის გადაწყვეტილება „დასაქმებულთა ძირითადი სოციალური უფლებების საზოგადოებრივი ქარტიის“ შესახებ. მომუშავეთა უფლებები განსაზღვრა მთავრობამ, რომლებიც მოიცავდა უსაფრთხოებისა და ჯანსაღი გარემოს გაძლიერებას სამსახურში, ტრეინინგებსა და თანაბარზომიერ მოპყრობას ქალებისა და მამაკაცების მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ქარტია არ წარმოადგენდა კანონთან მჭიდროდ შეკრულ დოკუმენტს, „სოციალურ დაზღვევაზე შეთანხმებამ“ დაარწმუნა ევროკავშირი, რომ მას შეეძლო განეხორციელებინა ღონისძიებები სოციალურ სფეროებში ამ ქარტიის დახმარებით. 1991 წლის დეკემბერში თანამეგობრობის წევრმა სახელმწიფოებმა (გაერთიანებული სამეფოს გარდა) მაასტრიხტში მიიღეს პროგრამა სოციალური პოლიტიკის წარმართვის შესახებ, რომელიც გამომდინარეობდა „მშრომელთა უმთავრესი სოციალური უფლებების თანამეგობრობის შესახებ“ წესდებიდან. აღნიშნული შეთანხმება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მშრომელთათვის საკმაოდ სასიკეთო აღმოჩნდა და ითვალისწინებდა გადაადგილების თავისუფლებას (ევროკავშირის ფარგლებში), სამართლიან ანაზღაურებას, გაუმჯობესებულ სამუშაო

პირობებს, სოციალური დაცვის უზრუნველყოფას, გაერთიანებათა თავისუფლებას, კოლექტიურ ვაჭრობას, პროფესიულ მომზადებას, შრომის თანაბარ პირობებს ქალებისა და მამაკაცებისათვის, სამრეწველო დემოკრატიულობას, ჯანმრთელობის დაცვას, სამუშაო ადგილების უსაფრთხოებას, ბავშვთა, ასაკოვანთა და უმწეოთა დაცვას.

რომის ხელშეკრულების 123-ე მუხლის თანახმად, ევროკავშირის სოციალური პოლიტიკის გამტარებელ ძირითად ორგანოს წარმოადგენს ევროპის სოციალური ფონდი. ფონდის მიზანი შემდეგში მდგომარეობს: საერთო ბაზრის სივრცეში მშრომელთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება და ამით ცხოვრების დონის ამაღლება. ფონდის ამოცანაა უფრო ადვილი გახადოს მშრომელთა დასაქმება და გაზარდოს გაერთიანების ფარგლებში მათი გეოგრაფიული და პროფესიული მობილურობა.

არსებობის პირველ წლებში ევროპის სოციალური ფონდის საქმიანობა მცირემასშტაბური იყო და შემოიფარგლებოდა სტრუქტურული ცვლილებების გამო გადაადგილებული მუშახელის პროფესიული გადამზადების ხელშეწყობით.
[3]ევროპის სოციალური ფონდი ეხმარება ადამიანებს, იყვნენ უფრო შრომისუნარიანნი და ასევე ატარებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რათა გააუმჯობესოს შრომითი ბაზრის სისტემები და სტრუქტურები.

ევროპის სოციალური ფონდი ავითარებს უზრუნველყოფის ამოცანების ფართო სპექტრს, რათა დაეხმაროს წევრ ქვეყნებს შრომითი ბაზრებისა და იმ ადამიანთა შესაძლებლობების გაუმჯობესებაში, რომლებიც მუშაობენ ან ეძებენ სამუშაოს. ამ ღონისძიებებს ევროკავშირი ატარებს ასევე რეგიონებში სხვადასხვა სტრუქტურების დახმარებით. ამ სტრუქტურებში ხდება ისეთი რეგიონის დამუშავება, რომელიც ყველაზე მეტად საჭიროებს განვითარებას და, შესაბამისად, პირველ რიგში, სწორედ ასეთი რეგიონებისთვის ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიებები.

ევროპული სოციალური ფონდი ასევე აფინანსებს ისეთ ინსტიტუტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ტრენინგების სისტემის დანერგვას, განსაკუთრებით ისეთი პროექტების განვითარებას, რომლებიც ეხება მამაკაცთა და ქალთა თანასწორობას.

---

[3] არსებული მასალა დამუშავებულია -http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0ekonomik--00-1--0-10-0--0-0---0prompt-10--.%2E-4----4---0-1l--11-en-10---10-help-50--00-3-1-00-0-00-11-1-1utfZz-8-00-0-11-1-0utfZz-8-00&cl=CL1.4&d=HASH7e1c1bc56211acf8491906.6.2&gt=1

ტრენინგების ეს სისტემა დაფუძნებულია თანამედროვე ინფორმაციასა და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებზე.

1983 წელს ევროპის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად ევროპის სოციალურ ფონდს განესაზღვრა ორი უმთავრესი პრიორიტეტი:

1. ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონები. ევროპის სოციალური ფონდის დაფინანსების 44% კონცენტრირებულია 7 აბსოლუტურად პრიორიტეტულ ზონაზე, რომელიც მოიცავს კავშირის შრომისუნარიანი მოსახლეობის ერთ მეექვსედ ნაწილს (23 მილიონ ადამიანს). მასში შედის: საბერძნეთი, ირლანდია, პორტუგალია, იტალიის სამხრეთი, ესპანეთის კასტილია, ლეონი, ახალი კასტილია, ესტრემადურა, ანდალუზია, მურსია, კანარის კუნძულები, გალიასია, ქალაქები - კეუტა და მელილა, ჩრდილოეთ ირლანდია და საფრანგეთის ზღვისპირა მხარეები.

2. ახალგაზრდობა_ევროპის სოციალურ ფონდს მოეთხოვებოდა მისი რესურსების უმეტესი ნაწილის დახარჯვა 25 წლამდე ასაკის ახალგაზრდების მომზადებასა და დასაქმებაზე. განსაკუთრებით ეს ეხებოდა მათ, ვინც განიცდიდა დასაქმების შესაძლებლობების დეფიციტს განათლების ან პროფესიული მომზადების უკმარისობისა და არაადეკვატურობის გამო.

ახალგაზრდობისათვის გათვალისწინებული დახმარების უმეტესი ნაწილის მიწოდება ხდება წევრი ქვეყნების მიერ შემუშავებული მთავარი პროგრამების მეშვეობით. მაგალითად, საფრანგეთში ათასმა ახალგაზრდამ ისარგებლა დასაქმება/მომზადების კონტრაქტებით, რამაც საშუალება მისცა მათ ევროპის სოციალური ფონდის დახმარებით ემუშავათ მომზადების პარალელურად. ირლანდიაში მნიშვნელოვანი დახმარება გაეწია სამრეწველო მომზადების სამმართველოს ახალგაზრდობის ინტენსიური მომზადების პროგრამების შექმნაში.

ევროპის სოციალურ ფონდთან ერთად ფუნქციონირებს ევროპული დასაქმების ცენტრი და სოციალური დაზღვევის ფონდი, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს ცხოვრების დონის საერთაშორისო სტანდარტების განვითარებას და შექმნას მთლიანი, ერთიანი და ჯანსაღი საზოგადოება. ამ დროისათვის ევროკავშირმა მილიონობით მოქალაქის ცხოვრების დონე გააუმჯობესა, მათ შორის უმუშევარი, მოხუცი, უნარშეზღუდული და შრომითი დისკრიმინაციის მსხვერპლი მოქალაქეებისაც.

ევროკავშირი დასაქმების ცენტრსა და სოციალური დაზღვევას მარტო თვითონ არ იყენებს და ასევე მარტო არ იღებს პასუხიმგებლობას ამ საკითხებზე. სოციალურ დაზღვევაზე პასუხისმგებლობას იღებენ ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა და მათ შეუძლიათ შეიმუშაონ ახალი კანონები და რეგულირების მეთოდები, რომლებიც იქნება უფრო გრძელვადიანი, ვიდრე ევროპული სოციალური უზრუნველყოფის პრინციპები.

დასაქმების ცენტრისა და სოციალური დაზღვევის დანერგვის გრძელვადიანი მიზანია ამ საზოგადოებრივი დიალოგის განვითარება და გარდაქმნა „სოციალურ დიალოგად“, რაც გულისხმობს სხვადასხვა ევროპულ დონეებზე სოციალურ პარტნიორებს შორის მოლაპარაკებებს.

მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ გავიდნენ ევროპის საერთაშორისო შრომის ბაზარზე, შეუძლიათ მიმართონ EURES - სამუშაო ადგილების სააგენტოს. ეს სააგენტო დაარსდა 1990 წელს ევროპული კომისიის, წევრი ქვეყნების დასაქმების ცენტრების, ნორვეგიისა და ისლანდიის მიერ. ამ სააგენტოს დაარსების მთავარი მიზანი იყო სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და გაცვლა, დასაქმების ცენტრებში სპეციალური კავშირების ჩამოყალიბება.

1990 წლიდან გამოაშკარავდა, რომ მარტო ეკონომიკური ზრდა არ იყო საკმარისი იმ სტრუქტურული პრობლემების გადასაჭრელად, რომლებიც გავლენას ახდენდნენ ევროკავშირის დასაქმების ბაზარზე. ევროკავშირის ფარგლებში არსებულმა კონკურენციამ და დასაქმების დონემ წარმოქმნა მუდმივი დისკუსიები 1993 წლიდან იმის თაობაზე, თუ როგორ შეეძლო ევროკავშირს მყარი სამუშაო ადგილები და საუკეთესო შესაძლებლობები ერთმანეთთან დაეკავშირებინა და აღმოეფხვრა უმუშევრობის დონე. ამ დისკუსიების ფარგლებში გამოიკვეთა „ევროპული დასაქმების სტრატეგიის“ შექმნის აუცილებლობა, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულების ერთ-ერთი შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. 1997 წლის ლუქსემბურგის სამიტზე ევროპულმა მთავრობამ წარადგინა „დასაქმების ძირითადი მიმართულებები“, რომელიც ხელს შეუწყობდა უფრო აქტიური დასაქმების ბაზრის უზრუნველყოფას. დაუსაქმებელი მოსახლეობის შემოსავლებით უზრუნველყოფის ნაცვლად მთავარი აქცენტი გადავიდა მათ აუცილებელ დასაქმებაზე, ბიზნესის ხელშეწყობაზე და ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ გაცვლით დასაქმებაზე, ასევე დიდი მნიშვნელობა

მიენიჭა იმ საკითხს, რომ ქალები და მამაკაცები და ასევე შეზღუდული უნარის მქონე პირები არიან თანაბარუფლებიანი და თანასწორი წევრები ევროკავშირში.

ტრენინგებისა და სხვადასხვა რჩევებისა და მითითებების საშუალებით მთავრობა ყველანაირად ცდილობს დაეხმაროს უმუშევრებს სამუშაო ადგილების მოპოვებაში და იმ კრიტერიუმების დაკმაყოფილებაში, რაც აუცილებელია დასაქმების ბაზარზე შესაღწევად.

დასაქმების კანონმდებლობა განსაზღვრავს მოსახლეობის დასაქმების რეგულირების სამართლებრივ საფუძველს, უმუშევრობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალურ დაცვას და შრომის უფლების გამოყენებას.

ირლანდიაში, ავსტრალიაში, სომხეთში, რუსეთში, ყაზახეთსა და ბელორუსიაში დასაქმების საკითხი წესრიგდება „დასაქმების შესახებ“ კანონებით.

ესტონეთში - კანონით „შრომის ბაზრის მომსახურებებსა და დახმარებების შესახებ“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დასაქმების საკითხები წესრიგდება შემდეგი საკანონდებლო აქტებით: „დასაქმების შესახებ“, „კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ“, „დასაქმების დისკრიმინაციის შესახებ“, „უმუშევრობის კომპენსაციის შესახებ“, „პენსიების შესახებ“, „სამუშაო ადგილის უსაფრთხოების შესახებ“, „მუშათა კომპენსაციის შესახებ“ კანონებით.

4.2 ახალგაზრდების დასაქმების აქტიური პოლიტიკა საქართველოში

ახალგაზრდების დასაქმებისთვის აუცილებელია აქტიური პოლიტიკის გატარება, რადგან ეს გრძელვადიანი ინვესტირებაა მთავრობის/სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერებისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

ახალგაზრდობის თვითდამკვიდრებისა და თვითრეალიზაციის საუკეთესო საშუალებაა მათი დასაქმება მიღებული განათლებისა და სპეციალობის შესაბამისად. ახალგაზრდების დასაქმება უნდა მოხდეს სახელმწიფო პოლიტიკის ხარჯზე, რომლის საშუალებითაც ახალგაზრდა სამუშაო ძალას ექნება შესაძლებლობა პრაქტიკაში გამოავლინოს მიღებული ცოდნა, განამტკიცოს შრომითი უნარ-ჩვევები, აიმაღლოს კვალიფიკაციის დონე, დაიმკვიდროს სოციალური სტატუსი საზოგადებაში.

ახალგაზრდობის დასაქმების აქტიური პოლიტიკის რეალიზაციას შესაფერისი ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო ესაჭიროება. აღნიშნული პრობლემა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების მუდმივი ყურადღების ცენტრშია. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დიდ ყურადღებას იჩენს ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებისადმი. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ისეთი საპროგრამო დოკუმენტის არსებობა, როგორიცაა "მსოფლიო სამოქმედო პროგრამა ახალგაზრდებისათვის 2000 და მომდევნო წლებში". დასახელებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ "ახალგაზრდობის დასაქმება ყველა ქვეყნისათვის პრობლემას წარმოადგენს. იგი განსაკუთრებით გამძაფრდა უკანასკნელ წლებში, რაც მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების ტემპის დაცემით არის განპირობებული. ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით განვითარებად ქვეყნებში გამოიკვეთა." საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტები თვლიან, რომ ძირითადი სირთულე, რომელსაც ახალგაზრდები შესაფერისი სამუშაოს ძიებისას აწყდებიან – არასაკმარისი განათლებაა.

ევროკავშირში დასაქმების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად უწყვეტი განათლება ითვლება. ახალგაზრდობის დასაქმების სფეროში, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების პოლიტიკას განსაზღვრავს ე.წ. "თეთრი დოკუმენტი". მასში აღნიშნულია, რომ "ახალგაზრდობა შეშფოთებულია იმ შესაძლებლობებით, რასაც მას შრომის ბაზარი სთავაზობს". ისინი თვლიან, რომ სოციალური ინტეგრაციის ყველაზე საუკეთესო გზა სამუშაოს პოვნაა. ახალგაზრდისათვის დასაქმება ნიშნავს, ჰქონდეს სრულფასოვანი ადამიანის სტატუსი, პატივისცემა საზოგადოებაში, ფინანსური დამოუკიდებლობა, სოციალური კონტაქტების გაფართოების შესაძლებლობები. ისინი, ვისაც არა აქვს სამუშაო, კარგავენ საზოგადოებაში ინტეგრირების შანსს, რასაც ახალგაზრდები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვამენ.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, გაიცნობიერონ თუ რამდენად საშიშია ახალგაზრდების დაუსაქმებლობა და გაატარონ დასაქმების ისეთი პოლიტიკა, რომლითაც ორიენტაცია იქნება აღებული პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე, შრომითი ჩვევების შეძენაზე, შრომის პირობებთან ადაპტაციაზე, კვალიფიკაციის ამაღლებაზე და შრომის ბაზარზე ახალგაზრდობის კონკურენტუნარიანობის გაზრდაზე.

საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებისა და ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით ახალგაზრდობის დასაქმების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს სპეციალურ პროგრამებს, რომელიც უნდა შემუშავდეს როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონებისა და ცალკეული ქალაქების დონეზე.

ახალ კურსდამთავრებულთა დასაქმებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სპეციალისტთა მომზადება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. შრომის ბაზრის სისტემატური კვლევისა და მონიტორინგის საფუძველზე უნდა დადგინდეს რეალური მოთხოვნა სამუშაო ძალაზე როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე რეგიონისა და ცალკეული ქალაქის მასშტაბით. საზოგადოება და განსაკუთრებით ახალგაზრდობა ინფორმირებული უნდა იყოს მომზადებული სპეციალისტებისა და პროგნოზირებადი სამუშაო ადგილების, თანამედროვე, პერსპექტიული სპეციალობებისა და მათი გამოყენების შესახებ.

ახალგაზრდობის დასაქმების რეგულირების ერთ-ერთ მიმართულებად უნდა გამოიყოს უმაღლესი სასწავლებლებლების კურსდამთავრებულთათვის (ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებიც პირველად გადიან შრომის ბაზარზე) შესაფერისი სამუშაო ადგილების მოძიებაში ხელშეწყობა, რადგან ხანგრძლივი, ქრონიკული უმუშევრობის შემთხვევაში, ახალგაზრდის ენერგიამ ადვილად შეიძლება მიიღოს დესტრუქციული, აგრესიული ფორმა.

ახალგაზრდობის დასაქმების რეგულირებაში ქმედითი როლი უნდა შეასრულონ დასაქმების სამსახურებმა. დღესდღეობით დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობა საქართველოში ფაქტობრივად შემოიფარგლება სოციალური დახმარების და დასაქმების სააგენტოს ფუნქციონირებით. მიგვაჩნია, მხოლოდ ერთ სამსახურს, რომელიც ძირითადად სოციალური დახმარებების გაწევითაა დაკავებული, არ შეუძლია სრულფასოვანი დახმარება აღმოუჩინოს ახალგაზრდობას შრომის ბაზარზე სწორ ორიენტაციაში. დასაქმების სახელმწიფო სამსახურის საქმიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტიანი, თუ იგი უზრუნველყოფს შემდეგი ფუნქციების სრულფასოვნად შესრულებას:

- შრომითი ბაზრის შესწავლა და პროგნოზი;

- საერთაშორისო შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზი და ინტეგრაციის გზების შემუშავება;
- სამუშაო ძალის ფორმირების, განაწილებისა და გადანაწილების პროგნოზირება;
- სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ცვლილებების ტენდენციების პროგნოზირება;
- შრომის ეროვნული და რეგიონული ბაზრების კონიუნქტურის შესწავლა და პროგნოზირება;
- შრომის ბაზრის ტევადობისა და სტრუქტურის ცვლილების ანალიზი და პროგნოზი;
- [4]დასაქმების დინამიკის შესწავლა;
- სამუშაო ძალის დამქირავებლების ქცევის მოტივაციის და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა;
- რეგიონის და ქალაქის სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შესწავლა და პროგნოზი;
- დასაქმების სფეროში გატარებული მასტიმულირებელი პოლიტიკის ანალიზი;
- დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირების მეთოდების შესწავლა;
- პროფორიენტაციის მიზნით ჩატარებული სამუშაოების ანალიზი;
- დასაქმების სფეროში სოციალურ პარტნიორებს შორის საქმიანი ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა;
- გრძელვადიანი კონტრაქტების გაფორმება დამქირავებლებთან.

ახალგაზრდობის დასაქმების რეგულირებაში დასაქმების სახელმწიფო სამსახურთან ერთად აქტიური როლი უნდა ითამაშოს დასაქმების კერძო სააგენტოებმა. მათი საქმიანობის დადებითი მხარეები, მართალია არამასშტაბურია, მაგრამ მაინც თვალსაჩინოა. თუ დასაქმების სახელმწიფო სამსახურში ვაკანსიები ძირითადად შემოდის სახელმწიფო ორგანიზაციებიდან, რაც შრომის ბაზრის რეალურ მოთხოვნას არ შეესაბამება, კერძო სააგენტოებმა ორიენტაცია აიღეს ახალგაზრდების დასაქმებაზე. ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ისეთ ეკონომიკურ სტრუქტურებთან, როგორებიცაა ბანკები, სააქციო საზოგადოებები, ერთობლივი საწარმოები. მათი ვაკანსიების

[4] არსებული მონაცემები აღებულია სოციალური მომსახურების სააგენტოს გვერდიდან (www.worknet.gov.ge.)

სტრუქტურა არსებითად განსხვავდება დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ოფიციალური მონაცემებისაგან.

EU4Youth პროექტი

თბილისში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის გახსნის შემდეგ, ვიზიტად მყოფმა ევროკომისიის აღმოსავლეთ სამეზობლოს საკითხების დირექტორატის ხელმძღვანელმა ლოურენს მერედიტმა ოფიციალურად გახსნა ევროკავშირის EU4Youth პროგრამა საქართველოში. ეს არის ევროკავშირის მხარდაჭერის ახალი პაკეტის ნაწილი, რომლის შესახებ 2017 წლის ნოემბერში გამართულ აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე შეთანხმდნენ. მხარდაჭერის მიზანია რეგიონში ახალგაზრდობის მხარდაჭერა და განათლება.

გახსნის ცერემონიალზე ლოურენს მერიდიტმა განაცხადა: "ევროკავშირის მხრიდან ახალგაზრდობის მხარდაჭერა საქართველოსა და აღმოსავლეთ პარტნიორობას შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. განათლების, დასაქმებისა და საზოგადოებაში მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველყოფით ჩვენ ახალგაზრდობას ვეხმარებით საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში და მომავალ ლიდერებად და მეწარმეებად ჩამოყალიბებაში“.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სამი პროექტი ეხმარება ქართველ ახალგაზრდობას - განსაკუთრებით დაუცველ ახალგაზრდებს - დასაქმების პერსპექტივების გაუმჯობესებაში სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერებით და შრომის ბაზრისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებით. პროექტების განხორციელება 2018 წლის გაზაფხულზე დაიწყო.

პროექტი EU4Youth: უკეთესი უნარები უკეთესი მომავლისათვის, ხორციელდება „Save the Children“ მიერ. დაიწყო ყოვლისმომცველი შრომის ბაზრის შეფასება იმის დასადგენად, თუ რომელი უნარები და პროფესიებია ყველაზე უფრო მოთხოვნადი, რას გვთავაზობს განათლების სექტორი და რამდენად შეესაბამებიან ახალგაზრდები საერთო სურათს. სხვა დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს ვაკანსიების ძიების ორგანიზებას,

მცირე გრანტებს ახალგაზრდებისთვის საწყისი დაფინანსების სახით და მეწარმეობის შესაძლებლობების განვითარებას.

EU4Youth: პოტენციალის გაძლიერება დასაქმების უკეთესი პერსპექტივისთვის ხორციელდება დანიის წითელი ჯვრის მიერ. პროექტი ინტერვიუებს ატარებს საქართველოს ხელისუფლებასთან, კომპანიებთან და შრომის ბაზრის ორგანიზაციებთან ახალგაზრდობის საკითხებზე პარტნიორობის გაძლიერების ან ჩამოყალიბების მიზნით. სხვა დაგეგმილი ღონისძიებები მოიცავს მეწარმეობის სწავლების სქემებს, ლიდერობის აკადემიის შექმნას და ტრენინგებს ჰუმანიტარული დიპლომატიის საკითხებზე.

EU4Youth: SAY YES-Skills for jobs ხორციელდება World Vision-ის მიერ; პირველი ამოცანა_ ახალგაზრდობის სფეროში ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან კოორდინაციის გაუმჯობესების შესაძლებლობების განხილვაზე. ამასთანავე პროექტი მოიცავს 23 ახალი SKYE (უნარ-ჩვევები და ცოდნა ახალგაზრდობის ეკონომიკური გაძლიერებისათვის) კლუბის ჩამოყალიბებას, არაფორმალური დასაწევი (catch-up) პროგრამების შექმნას სკოლის ნაადრევი [5]მიტოვების შემთხვევაში, პროფესიული განათლებისა და სწავლების პროგრამების შემუშავებას მაგ. სასოფლო სამეურნეო და აგრო ტურიზმის სფეროსთვის.

2017 წლის ნოემბერში გამართულ ბრიუსელის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე დამტკიცდა აღმოსავლეთ პარტნიორობის „20 შედეგი 2020 წლისთვის“, რომლებიც ფოკუსირებულია თანამშრომლობაზე მოქალაქეებისთვის ხელშესახები შედეგების მისაღწევად. სამიტის დეკლარაციაში გამოკვეთილი ძირითადი შედეგები მოიცავს ახალგაზრდობის და განათლების ახალ პაკეტს.

---

[5] არსებული ინფორმაცია დამუშავებულია «ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში“ https://eeas.europa.eu/delegations/georgia/50108/eu4youth-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93_ka

ახალგაზრდობის პაკეტის (Youth Package) ბირთვია EU4Youth პროგრამა (ამჟამად € 20 მილიონი, მეორე ეტაპი (10 მილიონი ევრო) მომზადების პროცესშია). პროგრამა მიზნად ისახავს ახალგაზრდების დასაქმების შესაძლებლობის გაზრდას, აქტიურ ჩართულობას საზოგადოებაში და ეკონომიკაში მათი უნარ-ჩვევების განვითარების და მომავალ ლიდერებად და მეწარმეებად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობის მეშვეობით. პროგრამა შედგება სამი კომპონენტისგან:

- შესაძლებლობების გაძლიერება ახალგაზრდული ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და /ან კერძო კომპანიებისთვის, ასევე ახალგაზრდული სექტორის მუშაკებისა და ლიდერებისთვის Erasmus+ პროგრამის ფარგლებში. შეირჩა 53 პროექტი, მათ შორის 20 პროექტი სამოქალაქო საზოგადოების სტიპენდიებისთვის და 15 პარტნიორობა მეწარმეობისთვის;
- გრანტების სქემა, რომელიც მხარს უჭერს ახალგაზრდების განათლების და დასაქმების პერსპექტივებს რეგიონალური გრანტების მეშვეობით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დაუცველ ჯგუფებს.

ხელმოწერილ რეგიონულ გრანტებს შორის არის შემდეგი ინიციატივები:

- ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერება გრანტების მეშვეობით, რომლებიც მიმართულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე, სამეწარმეო ცოდნისა და უნარ-ჩვევების განვითარებაზე, მათ შორის კონკრეტულ სექტორებში (მაგალითად, სოფლის მეურნეობა);
- უკეთესი განათლება და უნარები შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობაში გრანტის მეშვეობით, რომელიც მიზნად ისახავს შესაბამისი ტექნიკური და პროფესიული უნარების მქონე ახალგაზრდების რაოდენობის გაზრდას, ასევე მათი ფორმალური და არაფორმალური განათლების შესაძლებლობების გაძლიერებას;
- თანამშრომლობის ჩამოყალიბება სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორებსა და კერძო სექტორს შორის, რაც ხელს უწყობს დარგობრივი ახალგაზრდული პოლიტიკის შემუშავებას.

კოორდინაციის კომპონენტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონის ახალგაზრდობაზე ფოკუსირებით თანამშრომლობის გაღრმავებას პროგრამის კომპონენტებს შორის, ასევე ევროკავშირის EU4Youth პროგრამასა და სხვა აქციებს შორის და EU4Youth პროგრამისთვის თანმიმდევრული კომუნიკაციისა და თვალსაჩინოების უზრუნველყოფას.

ევროკავშირის საერთო დაფინანსება ამ პროექტებისთვის შეადგენს € 4.2 მილიონ ევროს (რომელიც მოიცავს საქართველოს, სომხეთს, უკრაინას და ბელარუსიას).

სახელმწიფოს განათლების რეფორმა სამომავლოდ განხორციელდება განათლების სისტემის ყველა საფეხურზე: ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და მეცნიერება.

სპორტისა და კულტურის მიმართულების მხარდაჭერა უზრუნველყოფს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას, ერთმანეთთან აკავშირებს სხვადასხვა დარგს და მნიშვნელოვან როლს თამაშობს მათ განვითარებაში, ხელს უწყობს ტურიზმს, მეწარმეობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, დანაშაულის პრევენციას, კულტურული დიპლომატიის განვითარებას, ქვეყნის პოპულარიზაციასა და მის პოზიციონირებას საერთაშორისო ასპარეზზე, ე.წ. საიმიჯო ხასიათის პროექტების შინაარსის გაფართოებას როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ, ხალხებს შორის დაახლოვებასა და კულტურათაშორის დიალოგს.

ადრეული და სკოლამდელი განათლება

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. სამომავლოს გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. ეროვნულ დონეზე შეიქმნება

სკოლამდელი განათლების ხარისხის შეფასების, განვითარებისა და მართვის მოდელი და მექანიზმები.

გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ზოგადი განათლება

სამომავლოდ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი იქნება ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი და საყოველთაო ხელმისაწვდომობა. ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი და ინკლუზიური, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ცოდნის, უნარების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ფორმირებასა და მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სისტემის განვითარება, რათა თითოეული კურსდამთავრებული კონკურენტუნარიანი იყოს შრომის ბაზარზე და ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის ინტერესებს პასუხობდეს.

ზოგადი განათლების სისტემის ორიენტირი იქნება მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის მომზადება. ამ მიზნით სასწავლო პროცესში დაინერგება ისეთი მეთოდოლოგიები და სტრატეგიები, რომელიც უზრუნველყოფს სააზროვნო, შემოქმედებითი, ტექნოლოგიური და შრომითი უნარების განვითარებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ განათლებაში. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც მათ დაეხმარება ანალიტიკური, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების განვითარებაში, გუნდური მუშაობის, ლიდერობის, სამეწარმეო, სახელოვნებო, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებაში. სახელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული პიროვნების თავისუფალი განვითარების, ნიჭისა და პიროვნული

შესაძლებლობების სრული რეალიზაციისა და განვითარებისთვის თანასწორი პირობების შექმნას, განურჩევლად მისი ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური მრწამსისა თუ საცხოვრებელი ადგილისა. ეროვნული უმცირესობებისთვის სახელმწიფო ენის მაღალ დონეზე სწავლების და ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება მიზნობრივი პროგრამები.

განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, გაგრძელდება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული ეროვნული სასწავლო გეგმების, პროგრამების, შესაბამისი სახელმძღვანელოების და სხვა საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და დანერგვა. შეიცვლება საშუალო საფეხურის მოწყობა და დაინერგება დიფერენცირებულ მიდგომებზე დაფუძნებული სასწავლო მოდელი ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, ჰუმანიტარული, სახელოვნებო და პროფესიული განათლების გაძლიერების მიმართულებებით. სისტემის განვითარების მიზნით გაგრძელდება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის, მათ შორის ფინური განათლების ელემენტების ეროვნულ მოდელში ინტეგრაცია.

კომპლექსური შეფასების საფუძველზე განვითარდება როგორც დამამთავრებელი, ისე ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა. საგამოცდო პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება.

სკოლებში უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო, ინკლუზიური და მულტიკულტურული გარემოს შექმნა. განვითარდება ბულინგისა და ძალადობის პრევენციასა ორიენტირებული სერვისები და პროგრამები. მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქო-ემოციური უსაფრთხოების დაცვის მიზნით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მანდატურისა და ფსიქოლოგიური მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას, მედია წიგნიერებისა და ციფრული მოქალაქეობის პროგრამების დანერგვას. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ინკლუზიური განათლების ხარისხისა და მასშტაბების გაძლიერებას და სპეციალური მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას.

ევროკავშირთან თანამშრომლობით, „საქართველოში აღმოსავლეთ პარტნიორობის ევროპული სკოლის“ პროექტის განხორციელდება სამომავლოდ, რომლის ფარგლებშიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების (საქართველო, უკრაინა,

მოლდოვა, აზერბაიჯანი, სომხეთი და ბელარუსი) საუკეთესო მოსწავლეები საქართველოში მიიღებენ ევროპულ განათლებას.

პროფესიული განათლება

საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებს.

2018 წლის 20 სექტემბერს ძალაში შევიდა „პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონი. აღნიშნული კანონით არსებითად შეიცვალა წინამორბედი კანონით მოწესრიგებული საკითხები.

საქართველოში პროფესიული განათლება იყოფა ფორმალურ და არაფორმალურ პროფესიულ განათლებად.

ფორმალური განათლება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის” შეძენას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით - დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას.

არაფორმალური განათლება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის” შეძენას.

არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება სამინისტროს მიერ დადგენილი

წესებით. რეგულირებადი პროფესიის ფარგლებში არაფორმალური განათლების აღიარება ხდება საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახეებია:

1. **საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,** რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
2. **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,** რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-4 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით;
3. **უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,** რომელიც სრულდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები

პროფესიული განათლების განხორციელების უფლების მქონე დაწესებულებებია:

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება;
- პროფესიული კოლეჯი;
- საზოგადოებრივი კოლეჯი;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პროფესიული კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

საზოგადოებრივი კოლეჯი არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, ახორციელებს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული განათლების პირველი სამი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

2018 წლის 20 სექტემბრის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონით გაუქმდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების „პროფესიულ კოლეჯებად“ და „საზოგადოებრივ კოლეჯებად“ დაყოფა. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ახალი კანონის შესაბამისად მოიხსენიება „კოლეჯებად“.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი – იურიდიული პირი, რომელიც უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადების პროგრამები, პროფესიული გადამზადების პროგრამები და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამები.

სახელმწიფოს მრიდან დაგეგმიალია სამომავლოდ პროფესიული განათლების ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად, მეტი ყურადღება დაეთმოს ახალი სერვისების განვითარებას როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. კერძო სექტორთან თანამშრომლობით შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. ამასთან, ჩამოყალიბდება უმაღლესი პროფესიული განათლების დონე, რითაც ხელი შეეწყობა პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურებს შორის კავშირების განვითარებას. დაინერგება წინმსწრები და არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმები.

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ასევე ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარების სისტემა, წახალისებული იქნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება სწავლების პროცესში.

სახელმწიფო მიზნად ისახავს პროფესიული განათლების იმიჯის, მიმზიდველობის გაუმჯობესებას და ამ სფეროს პოპულარიზაციას. რაც

განხორციელდება სოციალური პარტნიორებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, ასევე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებითა და პროფესიული განათლების რეალური პერსპექტივების ჩვენებით.

2014 -2018 წლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რაც კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვას გულისხმობს. მოდულური მიდგომის თანახმად, როგორც პროგრამის შემუშავება, ასევე უშუალოდ სწავლება, ეფუძნება თემებს (ამდენად, ერთი თემა შესაძლოა რამდენიმე საგნის კომბინაციასაც კი წარმოადგენდეს). მოდულურ პროგრამებში აქცენტები კეთდება არა მხოლოდ პროფესიული უნარების (ხელობის, პროფესიის შესწავლა) განვითარებაზე, არამედ საბაზო (წიგნიერება, მათემატიკური უნარები და სხვ.) და საკვანძო (მეწარმეობა, უცხო ენაზე კომუნიკაცია, ციფრული კომპეტენციები და სხვ.) უნარების განვითარებაზეც. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, სწავლის შედეგებზე ორიენტაცია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომები მოდულური პროგრამების ძირითადი მახასიათებლებია. მოდულური მიდგომით პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია შეიქმნა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით. სწორედ აღნიშნული ეტაპების გავლის გზით, განახლდა 200-მდე პროფესიული სტანდარტი და დამტკიცდა და დაინერგა 110 მოდულური პროგრამა. 2018 წლის მდგომარეობით, სისტემაში დანერგილი პროგრამების 70% მოდულურია. 2019 წლიდან სასწავლებლები სრულად გადავლენ მოდულურ სწავლებაზე.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) მიერ ჩატარდა საგრანტო კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავდა პროფესიული განათლების პროვაიდერების და კერძო სექტორის/დამსაქმებლების ურთიერთთანამშრომლობით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განვითარებას. საგრანტო კონკურსის ფარგლებში დამსაქმებელთა ჩართულობით მომზადდა და დაინერგა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 40-ზე მეტი პროგრამა ინჟინერიის, ტექნოლოგიების, მეცნიერების მიმართულებით. საგრანტო პროგრამა ასევე ითვალისწინებდა მხარდაჭერას პროგრამების დანერგვის მიმართულებით.

საქართველოში არსებული პროფესიული კვალიფიკაციების ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან თავსებადობის უმთავრესი ინსტრუმენტია ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩო, რომლის ძირითადი მიზნებია ხელი შეუწყოს სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობასა და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას. EQF უზრუნველყოფს, რომ კვალიფიკაციები გახდეს ადვილად აღსაქმელი და გასაგები ევროპულ სივრცეში სხვადასხვა ქვეყნებისა და სისტემებისათვის. ასევე იძლევა ერთი ქვეყნის ეროვნული კვალიფიკაციების შედარების საშუალებას მეორე ქვეყნის ეროვნულ კვალიფიკაციებთან. საქართველომ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო 2010 წლის 10 დეკემბერს დაამტკიცა. იგი წარმოადგენს განათლების სისტემის სამი ძირითადი ქვესისტემის (ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება) კვალიფიკაციათა ჩარჩოების ნაერთს და აკავშირებს სხვადასხვა საფეხურისა და ტიპის კვალიფიკაციებს იერარქიულად, ყველაზე დაბლიდან - უმაღლესამდე. ჩარჩო იძლევა საქართველოს კვალიფიკაციების დაკავშირების საშუალებას იმ ქვეყნების კვალიფიკაციებთან, რომლებშიც მოქმედებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოები. თუმცა, 2014 წელს, გაანალიზდა საქართველოს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან მიმართებაში და გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები (ჩარჩოს ტერმინთა განმარტებების, სწავლის შედეგების აღმწერებისა თუ კვალიფიკაციათა პროგრესირების - ჰორიზონტალური და ვერტიკალური). ანალიზის საფუძველზე, მომზადდა კვალიფიკაციების ეროვნული ჩარჩოს ახალი პროექტი და დაიწყო განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან/ორგანიზაციებთან. 2018 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით (მათ შორის იყო ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“) სამართლებრივი საფუძველი შეიქმნა ჩარჩოს დამტკიცების, მისი დანერგვისა და შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან, ჩარჩოს დანერგვის მხარდაჭერის მიზნით „ევროპის განათლების ფონდთან“ (ETF) ერთად შემუშავდა ევროკავშირის ახალი ე.წ „Twinning“ პროექტი.

პროფესიული განათლების შესახებ ახალ კანონში აქცენტირებულია გაცვლითი პროგრამები და ერთობლივი პროგრამები, თუმცა კანონის ამ ნორმების ამოქმედებამდე და აღნიშნული მიმართულებით სისტემური მიდგომების ჩამოყალიბებამდე, ხორციელდება საერთაშორისო პარტნიორობა. 2017-2018 წლებში სტუდენტებმა და

კურსდამთავრებულებმა საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამასა თუ კონკურსში:

- ქართულ ესტონური პროექტის ფარგლებში "საუკეთესო ესტონური გამოცდილების გაზიარება, რათა მოხდეს კონკურენტუნარიანობა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ 2018 წლის პირველ ნახევარში 2 კვირიან სტაჟირებაზე იმყოფებოდნენ სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" მზარეულის პროგრამის სტუდენტები ესტონეთში, ასევე განხორციელდა ესტონელი სტუდენტების ვიზიტი საქართველოში. ამასთან, 2018 წლის მეორე ნახევარში სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "ახალი ტალღა" ლოგისტიკის პროგრამის 4 პროფესიული სტუდენტი გაემგზავრა ესტონეთში 2 წლიან სწავლებაზე.
- ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის "იკაროსი" 40 სტუდენტი 3 თვიან სტაჟირებაზე იმყოფებოდა გერმანიაში. სტაჟირება დასრულდა 2018 წლის თებერვალში. სტუდენტებმა სტაჟირება გაიარეს 24 სასტუმროში, რომლებთანაც კოლეჯი თანამშრომლობს მემორანდუმის საფუძველზე. ასევე, ა(ა)იპ პროფესიული კოლეჯის "იკაროსი" სტუდენტები და კურსდამთავრებულები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სხვადასხვა ტიპის მასტერკლასებსა და კონკურსებში სლოვაკეთსა და პოლონეთში. აღსანიშნავია, რომ 2018 წლის მესამე კვარტალში ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს „იკაროსი“ სლოვაკეთიდან ეწვია 12 პროფესიული სტუდენტი და ადმინისტრაციის 6 წარმომადგენელი.
- 2017 წელს საქართველოს გუნდმა მონაწილეობა მიიღო Worldskills International-ის რიგით 44-ე საერთაშორისო შეჯიბრში, რომელიც გაიმართა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში. კონკურსში საქართველოს გუნდი შვიდ პროფესიაში იყო წარმოდგენილი: სამზარეულო საქმე, საკონდიტრო საქმე, სარესტორნო სერვისი, გრაფიკული დიზაინი, საინფორმაციო ქსელების გაყვანილობა და ვებ დიზაინი.

14 სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების სამეწარმეო იდეების მხარდასაჭერად ფუნქციონირებს სამრეწველო

ინოვაციური ლაბორატორიები (ფაბლაბები). რიგ დაწესებულებებში სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მიერ ჩამოყალიბდა „სტარტაპები“.

2016 წელს აქტიურად დაიწყო მუშაობა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ე.წ. დუალური მიდგომით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებასა და პილოტირებაზე. დუალური პროგრამების დანერგვა უზრუნველყოფს კერძო კომპანიებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამების ერთობლივად განხორციელებასა და სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობას. პროგრამების განხორციელების პროცესში სწავლის შედეგების 50% ან მეტი რეალურ სამუშაო გარემოში მიიღწევა.

გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით, 2016 წელს დუალური პროგრამების პილოტირება დაიწყო სოფლის მეურნეობის სფეროში: მევენახეობა-მეღვინეობა, მეცხოველეობა და მეხილეობა. 2017 და 2018 წლებში კი გაგრძელდა მუშაობა დუალური პროგრამების დანერგვის მიმართულებით. 2018 წლის მონაცემებით, დანერგილია 23 დასახელების დუალური პროგრამა აგრარული, ტურიზმის, სარკინიგზო ტრანსპორტის, მშენებლობის და ინჟინერიის მიმართულებით. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ინფორმაციული ტექნოლოგიებისა, ტრანსპორტის და ლოჯისტიკის მიმართულების დუალური პროგრამების შემუშავების კუთხით.

სტრატეგიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბებას. პროფესიული განათლების სისტემა უნდა გახდეს განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი და უნდა მოხდეს მისი დაკავშირება, როგორც ზოგად, ასევე უმაღლეს განათლებასთან. ასევე, უნდა განვითარდეს ზრდასრულთა განათლების სისტემა.

ზოგადი განათლების პროფესიულ განათლებასთან ინტეგრირებით სტუდენტებს, რომლებიც საბაზო განათლების საფუძველზე მიიღებენ პროფესიულ განათლებას, მიეცემათ აკადემიური განათლების საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. ამასთან, შესაძლებელი გახდება პროფესიული განათლების საფეხურზე მოპოვებული კრედიტების უმაღლესი განათლების საფეხურზე აღიარება. სტრატეგიაში

ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული კომპეტენციების აღიარების შესაძლებლობის შექმნას და არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის ჩამოყალიბებას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს კომპეტენციების გაუმჯობესებას და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას. აღსანიშნავია, რომ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების ოპტიმალური ქსელის ჩამოყალიბება.

პროფესიული განათლების შესახებ ახალმა კანონმა შექმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალიზებისათვის. კანონი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხისა და მოქნილობის გაუმჯობესებას, მათ შორის კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის მექანიზმის ჩამოყალიბებას. კანონი ითვალისწინებს პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა განათლების საკითხების ფორმალიზებას და საფუძველს უქმნის პროფესიული განათლების ფარგლებში ზოგადი განათლების მიწოდებას.

კანონი ასევე ითვალისწინებს მოკლე ციკლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, რომლის კრედიტებიც აღიარებული იქნება აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე. დაწყებულია მუშაობა შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მომზადებაზე და საპილოტე სქემის ჩამოყალიბებაზე (GGF-ის მხარდაჭერით).

როგორც უკვე აღინიშნა პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს ახალი კანონი გზას უხსნის მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის გამოყენებას სხვადსხვა სამიზნე ჯგუფებს, მათ შორის განათლების მიღმა დარჩენილ პირებს. ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარებით, რაც კანონის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია, შესაძლებელი გახდება ნებისმიერი მსურველისათვის, მათ შორის განათლების მიღმა დარჩენილი პირებისათვის, არაფორმალური განათლების აღიარებისა და პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებში ჩართვა.

პროფესიული განათლების რეფორმის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების, როგორიცაა შშმ, სსსმ პირების, ეროვნული

უმცირესობების, დევნილების, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საჭიროებები. ამ მიზნით სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაინერგა მრავალფეროვანი სერვისები (ჟესტური ენის თარჯიმნები, დამხმარე თანამშრომლები, ინკლუზიური განათლების სპეციალისტები), განვითარდა ადაპტირებული სასწავლო მასალები, დაიგეგმა და განხორციელდა სპეციალური ტრენინგები მასწავლებლებისათვის.

2017-2018 წლებში პროფესიულ პროგრამებზე ჩარიცხულ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა რიცხვმა 500-ს მიაღწია. 2016 წლიდან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებიან აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი ტესტების საფუძველზე, რის შემდეგაც გადიან ქართული ენის შემსწავლელ მოდულს და სწავლას აგრძელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დევნილთა პროფესიული განათლების მიღების მხარდასაჭერად, სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, სამინისტროსთან პარტნიორობით, განხორციელდა დევნილი პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება. ასევე, დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად გამოცხადდა საგრანტო კონკურსი, განაცხადების განხილვის შედეგად 2017-2018 წლებში დაფინანსდა 100-მდე პროექტი.

2017-2018 წლებში აქტიურად მიმდინარეობდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული მოკლევადიანი პროფესიული კურსების განხორციელება, რომელშიც ჩართული იყვნენ სამუშაოს მაძიებლები, მსჯავრდებულები და ყოფილი პატიმრები:

2017 წელს მომზადება-გადამზადების პროგრამა გაიარა 1135 -მა მსჯავრდებულმა და ყოფილმა პატიმარმა; ხოლო 2018 წელს ჩაერთო 1000-მდე ბენეფიციარი.

ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

2017 წელს მომზადება (გადამზადება) გაიარა 2130-მა ბენეფიციარმა; ხოლო 2018 წლის პირველი ეტაპის ფარგლებში 2064-მა ბენეფიციარმა.

გაგრძელდა მუშაობა სტუდენტური საერთო საცხოვრებლების განვითარების მიზნით. 2018 წელს დასრულდა სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის "იბერია" საერთო საცხოვრებლის მშენებლობა და განხორციელდა აღჭურვა. საერთო საცხოვრებელი გათვლილია 80 სტუდენტზე.

2018 წლიდან დაიწყო მუშაობა პროფესიულ განათლებაში ზრდასრულთა განათლების განვითარების მიმართულებით, რაც პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფორმალიზებას გულისხმობს. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტში ჩამოყალიბდა ზრდასრულთა განათლების სამმართველო, რომელიც სწორედ ზრდასრულთა განათლების საკითხებზე იმუშავებს. მომზადებული ხედვის თანახმად, მომზადებისა და გადამზადების სერვისების მისაწოდებლად გამოყენებული იქნება არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობები, არამედ არაფორმალური განათლების სექტორში არსებული გამოცდილებაც. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება კერძო კომპანიების ტრენინგ-ცენტრებზე, რომლებსაც პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი სთავაზობს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ფორმალიზებას (რაც ნებაყოფლობითი უნდა იყოს) და ამის საფუძველზე, სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემის უფლების მინიჭებას.

არაფორმალური განათლების აღიარებისთვის, 2016-2018 წლებში შემუშავდა საერთაშორისო დონეზე არსებული პრაქტიკის შესაბამისი მეთოდოლოგია; ჩატარდა არაფორმალური განათლების აღიარების მეთოდოლოგიის პილოტირება სამ პროგრამაში, რომლის შედეგების გათვალისწინებითაც მომზადდა არაფორმალური განათლების აღიარების წესის პროექტი.

დაფინანსების დივერსიფიცირებული მექანიზმების არსებობა გულისხმობს პროფესიული განათლების დაფინანსების მრავალფეროვანი წყაროებისა და შესაძლებლობების არსებობას. პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი ქმნის სამართლებრივ საფუძველს სწორედ ასეთი მექანიზმების ჩამოყალიბებისათვის, თუმცა კონკრეტული მოდელი უნდა დამტკიცდეს მთავრობის მიერ, მას შემდეგ, რაც მოხდება დაფინანსების არსებული პრაქტიკის სრულფასოვანი ანალიზი და განისაზღვრება

ახალი კონცეფცია. მნიშვნელოვანი სიახლე, რომელსაც კანონი გვთავაზობს არის ის, რომ სახელმწიფო დაფინანსება შესაძლებელია გავრცელდეს კერძო პროვაიდერებზეც (სახელმწიფო პოლიტიკისა და პრიორიტეტების შესაბამისად). აღსანიშნავია, რომ კერძო პროვაიდერები კანონის ამოქმედებამდეც იღებდნენ სახელმწიფოსგან გარკვეულ დაფინანსებას, სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში. მაგალითისათვის, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები აქტიურად მონაწილეობენ სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამაში, ასევე ჩართულები არიან სკოლის მოსწავლეთა პროფესიული უნარების განვითარების პროგრამაში.

აღსანიშნავია, რომ ახალი კანონის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს უფლება, მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე. 2018 წელს, ჯერ კიდევ კანონის ამოქმედებამდე სამინისტრომ დაიწყო აღნიშნული საკითხის დამუშავება და 2019 წლის სექტემბრამდე, საქართველოს მთავრობა გამოსცემს შესაბამის დადგენილებას, რომლითაც დარეგულირდება კოლეჯების ეკონომიკური საქმიანობა და მიღებული შემოსავლების განკარგვის საკითხები.

გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა და 2017-2018 წლებში სტუდენტები პირველად მიიღო ყაზბეგისა და თიანეთის (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი), ასევე ლაგოდეხისა (კახეთი) და ხობის (სამეგრელო) მუნიციპალიტეტებში არსებულმა ფილიალებმა. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები კასპის (შიდა ქართლი), ხულოსა (აჭარა) და ჩოხატაურის (გურია) მუნიციპალიტეტებში პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფუძნების მიზნით.

ასევე, საჯარო კერძო პარტნიორობის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სს ,,M² უძრავი ქონება“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, ზესტაფონის მუნიციპალიტეტში დაფუძნდა ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი "კონსტრუქტ2". სადაც უკვე დასრულდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. კერძო სამშენებლო კომპანიასთან პარტნიორობით, ქ. ქობულეთში

არსებულმა სახელმწიფო კოლეჯმა გააფართოვა არეალი და პროგრამების განხორციელება დაიწყო ქ. ბათუმში არსებულ სასწავლო ცენტრში, რომლის რეაბილიტაციაც სრულად უზრუნველყო კერძო სექტორმა.

ამ მიმართულებით, ასევე აღსანიშნავია არსებული კოლეჯების შესაძლებლობების გაუმჯობესება და განვითარება. სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაუფინანსდა ა(ა)იპ პროფესიულ კოლეჯს „პრესტიჟი“, სსიპ პროფესიული კოლეჯს „მოდუსი“, სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯს „იბერია“. ხოლო ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 5 საგანმანათლებლო დაწესებულებას.

დასრულდა სტუდენტური საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაცია ქუთაისში, დაფინანსდა სტუდენტური საცხოვრებლის მშენებლობა წალენჯიხისა და სენაკის კოლეჯებისათვის.

მოდულური პროგრამების მინიმალური ტექნიკური აღჭურვილობის სტანდარტების საფუძველზე, პრაქტიკული სწავლები გაუმჯობესებისათვის კოლეჯებმა შეიძინეს მოდულური პროგრამების დანერგვისათვის საჭირო აღჭურვილობა და ხელსაწყოები.

პროფესიული განათლების მიმწოდებელთა ქსელის დივერსიფიცირება წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს ზრდასრულთა საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, კერძოდ პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი ითვალისწინებს კერძო სექტორის (კომპანიების) ტრენინგ-ცენტრების ჩართვას ფორმალური განათლების, კერძოდ, მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მიწოდებაში. 2018 წლის ბოლო კვარტალში მომზადდა ხედვა, თუ რა გზით იქნება შესაძლებელი დღეს სისტემაში არსებული არაფორმალური განათლების მიმწოდებლების ჩართვა ფორმალური ტრენინგის მიწოდებაში. უახლოეს მომავალში დაიწყება აღნიშნული ხედვის განხილვა დაინტერესებულ მხარეებთან.

პროფესიული განათლების პოპულარობისა და მიმზიდველობის გასაზრდელად სტრატეგიაში ხაზგასმულია რამდენიმე ძირითადი მიმართულება: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა, პროფესიული ორიენტაციის სისტემის გაუმჯობესება, სისტემის მოქნილობისა და გამტარიანობის

გაუმჯობესება, პროფესიული განათლების ახალი ბრენდისა და საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნა, რომლის განხორციელებითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების ცნობიერების ამაღლება იმ სარგებლიანობის შესახებ, რომელიც პროფესიულ განათლებას შეუძლია მოუტანოს საზოგადოების ნებისმიერ წევრს, განურჩევლად მისი სტატუსისა თუ შესაძლებლობის. მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობის შექმნით და პროფესიული ორიენტაციის გამართული სერვისის მიწოდებით უზრუნველყოფილი იქნება ინდივიდის პიროვნული თუ პროფესიული ინტერესების შესაბამისი განვითარება.

ამასთან, პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ვალდებულებაში განისაზღვრა ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის განვითარება. დაგეგმილია ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სტრატეგიის შემუშავება და დამტკიცება. კანონის მიხედვით სისტემამ უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი პირის დახმარება, რათა მან განათლების მიღების ნებისმიერ ეტაპზე განსაზღვროს საკუთარი შესაძლებლობა, კომპეტენცია და ინტერესი განათლებასთან და პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და მართოს საკუთარი კარიერა. მიმდინარე ეტაპზე, ყველა საჯარო პროფესიულ საგანმანთლებლო დაწესებულებაში დაშვებულია პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის შტატი. პერიოდულად ხორციელდება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერების შესაძლებლობების განვითარება. MCA-ის მხარდაჭერით შემუშავდა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთა პროფილი და სამუშაო აღწერილობა, პილოტირებისათვის მომზადებულია შესაბამისი კითხვარი და მეთოდოლოგია.

2017-2018 წლებში საქართველო შეუერთდა “პროფესიული განათლების ევროპულ კვირეულს“, რომლის ფარგლებში ჩატარდა ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა ღონისძიება. ასევე, დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით განხორციელდა არაერთი მასშტაბური კონფერენცია: ათასწლეულის გამოწვევის ფონდის პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის"

ფარგლებში 2017 და 2018 წელს მოეწყო მასშტაბური ღონისძიებები, რაც მოიცავდა საერთაშორისო კონფერენციასა და "პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოს“ ნომინაციებში გამარჯვებულების საზეიმო დაჯილდოვებას. ასევე, 2018 წელს სლოგანით „უკეთესი უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ გაიმართა ღონისძიება, რომელზეც საქართველოში ევროკავშირის დელეგაციამ და საქართველოს მთავრობამ დასაქმებისა და განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში ოთხწლიანი თანამშრომლობის შედეგები წარადგინა.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონალურ კონფერენციას უმასპინძლა, რომლის მიზანსაც პარტნიორ ქვეყნებს შორის, სამუშაოზე დაფუძნებული/დუალური განათლების საკითხებზე გამოცდილების გაზიარება წარმოადგენდა. კონფერენცია განათლების ევროპული ფონდის (ETF) ორგანიზებით გაიმართა და მასში მონაწილეობა 6 ქვეყნის (უკრაინა, ბელორუსია, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდოვა, ყაზახეთი) 50-მდე დელეგატმა მიიღო.

უმაღლესი განათლება

სახელმწიფოს მხრიდან, კერძლდ განათლების სამინისტრო უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის ეფექტიანი მოდელების შექმნას.

სამომავლოდ განხორციელდება უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები, რომლებიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რაც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. დაინერგება უნივერსიტეტების საბაზო დაფინანსების მოდელი, რომლის ფარგლებშიც ხელი შეეწყობა უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მჭიდრო კავშირს.

მხარდაჭერილი იქნება სპეციალური პროგრამები საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწე წამყვანი ქართველი მეცნიერების უმაღლესი განათლების სისტემაში რეინტეგრაციის მიზნით.

სახელმწიფო განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების როლისა და მნიშვნელობის ზრდას, მათ შორის, დისტანციური განათლების კომპონენტის გაძლიერებას.

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირებისთვის, განხორციელდება მიზნობრივი ღონისძიებები უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოსაზიდად.

მეცნიერება

ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

განხორციელდება ახალგაზრდების სამეცნიერო კვლევებში ჩართულობის მხარდამჭერი ღონისძიებები, დაფინანსდება პოსტდოქტორანტურის პროგრამები, ხელი შეეწყობა საერთაშორისო სამეცნიერო გაცვლითი პროგრამების განხორციელებას.

გაძლიერდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამეცნიერო ფონდებთან საზღვარგარეთ, დამატებითი დაფინანსების და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით. ¹სახელმწიფო მხარს დაუჭერს საქართველოს გაწევრიანებას ევროპული კვლევებისა და ტექნოლოგიების თანამშრომლობის ორგანიზაციაში (COST), ევროპის აკადემიაში (Academia Europea).

სახელმწიფო მხარს დაუჭერს ევროკომისიის კვლევისა და ინოვაციის პროგრამის ,,Horizon-2020"-ის ფარგლებში თანამშრომლობას, რაც გამორჩეული კვლევითი და ინოვაციური იდეების განსახორციელებლად, საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთავაზობს ქართველ მეცნიერებს, კვლევაზე ორიენტირებულ ინდუსტრიებს, ინოვაციურ მცირე ზომის საწარმოებს, ბიზნესმენებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. სახელმწიფო მხარს დაუჭერს ევროკომისიის მომდევნო ჩარჩო პროგრამის „Horizon Europe"-ის ფარგლებში ჩართულობას და აქტიურ მონაწილეობას.

---

[6] არსებული ინფორმაცია მოძიებულია https://www.mes.gov.ge/.../files/2017-2018-wlebis-angarishi-profesiuli-ganatleba.doc..._პროფესიული განათლების რეფორმის ანგარიში 2017-2018.

ახალგაზრდა მეწარმეთა ხელშეწყობის გარდა, სახელმწიფო პროგრამები ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მათ შორის, სამოქალაქო, კულტურული და სპორტული მიმართულებით. გაიზრდება ახალგაზრდულ და მოსწავლეთა ბანაკებზე ხელმისაწვდომობა და გაძლიერდება ამ პროექტის ფარგლებში ინტელექტუალური კომპონენტი. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ზუსტ და საბუნებისმეტყველო, სახელოვნებო და სპორტულ მიმართულებებს. გაგრძელდება ჰობი-განათლებასა და რეკრეაციაზე ფოკუსირებული პროექტების დაფინანსება. მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით გააქტიურდება ზამთრისა და ზაფხულის სამეცნიერო სკოლების საქმიანობა, საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრებში სასწავლო ტურები.

გაღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირთან ახალგაზრდობის მობილობის, უნარების განვითარებისა და პოლიტიკის რეფორმების მიმართულებებით ევროკავშირის “Erasmus +”-ის პროგრამის ფარგლებში, ხოლო ევროკავშირის EU4Youth პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობა ორიენტირებული იქნება ახალგაზრდული მუშაკის ინსტიტუტის განვითარების, მოხალისეობის პოპულარიზებისა და ახალგაზრდებში დასაქმებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაზე.

დასკვნა

18-დან 24 წლამდე ახალგაზრდები სტუდენტები არიან, რომლებმაც დაამთავრეს ან ამთავრებენ უნივერსიტეტს. სტუდენტები წარმოადგენენ სოციალურად დაუცველ ჯგუფს, რადგან არ გააჩნიათ საკმარისი პროფესიული მომზადება. 25_დან 29 წლამდე ახალგაზრდებს, ძირითადად, უკვე აქვთ გაკეთებული პროფესიული არჩევანი, მათ იციან რა უნდათ, უმრავლესობას საკუთარი ოჯახიც ჰყავს და საკმაოდ მაღალ მოთხოვნებს აყენებენ შემოთავაზებულ სამუშაოს.

სახელმწიფოს მხრიდან კი საჭიროა ახალგაზრდების განათლებისა და ღირსეული დასაქმებისთვის ნორმატიული ბაზის სრულყოფა. აგრეთვე ქმედითი შრომის ინსპექციის შექმნა, რომელიც შეძლებს შრომის პირობების დარღვევების ეფექტურ ინსპექტირებას და მოშლის ახალგაზრდების იაფ თუ უფასო მუშახელად გამოყენების მავნე პრაქტიკას. ამასთანავე საჭიროა დაიწყოს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის სამეცნიერო კვლევა და დასაქმების, მათ შორის ახალგაზრდების დასაქმების ადეკვატური პოლიტიკის შემუშავება, რისთვისაც სახელმწიფომ მხრიდან პროფესიული მომზადების, გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების განხორციელებაა საჭირო.

აღნიშნული რეკომენდაციები ხელს შუწყობს უმუშევრობის პროცენტულ მაჩვენებელს შემცირებას ახალგაზრდებში და გაზრდის დასაქმების რეალურ შესაძლებლობას.

- შრომის ბაზრის საფუძვლიანი და პერიოდული კვლევა –სახელმწიფომ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა უზრუნველყოს შრომის ბაზრის კვლევა, რაც ხელს შუწყობს პრობლემის შესწავლასა და მათი გადაჭრის გზების დასახვას;

- ხარისხიანი განათლება – სამართლიანი და ადეკვატური დაფინანსების სისტემების არსებობა: აუცილებელია დაფინანსებული სტუდენტების რაოდენობის ზრდა, რაშიც სუბსიდირებული დაფინანსების სისტემა დაგვეხმარება. მნიშვნელოვანია სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებობდეს შიდა დაფინანსების სისტემები და აუცილებელია რომ ეს იყოს ერთწლიანი და არა 4 წლიანი. აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს სტუდენტებში მეცნიერული კვლევებისა და პროექტების

განვითარების ფონდი. რომლისგანაც გრანტის მიღება შეეძლება ქვეყანაში არსებული ყველა აკრედიტირებული უნივერსიტეტის სტუდენტს საკუთარი სამეცნიერო კვლევისა თუ პროექტის საკონკურსო პირობების შესაბამისად;

- პროფესიული/საგანმანათლებლო ტრეინინგებისა და პრაქტიკის როლი – ჩემი აზრით, აკრედიტაციის ერთიანმა ეროვნულმა ორგანომ უნდა დაავალდებულოს უმაღლესი განათლების დაწესებულებები რომ შექმნან პროფესიის მიმართულებით კლინიკები, მაგალითისთვის სამართლის კლინიკა, ბიზნეს ინკუბატორი, მედია ცენტრი, სამედიცინო კლინიკა და სხვა. უნდა გაიზარდოს დაფინანსება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის, რათა ახალგაზრდებმა რომლებიც ეუფლებიან კონკრეტულ ხელობას, შეძლონ პრაქტიკაში მათი ცოდნის ეფექტური გამოყენება.

- სტუდენტური სერვის ცენტრები/ კარიერული წინსვლის სამსახურები - კარიერული წინსვლის სამსახურები შეადგენს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ბაზას. კურსდამთავრებულების ბაზაში შევა ყველა ის ახალგაზრდა, რომელიც არის უნივერსიტეტის სტუდენტი ან კურსდამთავრებული 26 წლამდე.

- საგადასახადო შეღავათები – ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს პროგრამა, რომლის მიხედვითაც, ის კერძო თუ არასამთავრობო სექტორები, სხავადსხვა დაწესებულებები (კაფე–ბარები, რესტორნები, სწრაფი კვების ობიექტები, ბიბლიოთეკები, სავაჭრო ქსელები, სამშენებლო თუ სადაზღვეო კომპანიები და სხვ.), რომლებიც დაასაქმებენ ახალგაზრდებს, სახელმწიფომ უნდა წაახალისოს. წახალისების ერთ-ერთი მექანიზმი შეიძლება იყოს საგადასახადო შეღავათები.

გამოყენებული ლიტერატურა

1. **ე.მექვაბიშვილი,** „გლობალური ფინანსური კრიზისის ანტროპოცენ-ტრული კვლევა: „ეკონომიკური ადამიანის“ ტრანსფორმირება „ფინანსურ ადამიანად“. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N3, 2018 წელი;
2. **ე. მექვაბიშვილი,** გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა. თბილისი. გამომცელობა „ინტელექტი“. 2018. http://eb.tsu.ge/doc/emekvabishvili.pdf;
3. **ვ. პაპავა.** საქართველოს ეკონომიკა. რეფორმები და ფსევდორეფორმები. გამომცემლობა ინტელექტი. თბილისი 2015 წელი;
4. **მ.ჩიქობავა.** კეინზიანური და მონეტარისტული თეორიების შედარებითი ანალიზი. ჟურნალი „ეკონომისტი“, „Ekonomisti” N4, 2018წ. ქ. თბილისი;
5. **მ. ცარციძე,** ეფექტიანი დასაქმება-ადამიანის კეთილდღეობისა და ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი საქართველოში. რეცენზირებადი, ბეჭდურ-ელექტრონული, საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti” N2, 2019წ. ელ. ვერსია. http://ekonomisti.tsu.ge/?cat=nomer&leng=ge;
6. **მ. ცარციძე.** შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკა და ახალგაზრდების დასაქმების თავისებურებები საქართველოში. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” ტომი XI, N2, 2019წ.http://eb.tsu.ge/?leng=ge;
7. **მ. კვირკვაია, ვ.კიკუტაძე, დ. სიხარულიძე, შ. შაბურიშვილი, ვ. ჭარაია.** ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია: საერთაშორისო გამოცდილება და საქართველო. “ეკონომისტი”, „Ekonomisti” N2, 2018 წელი;
8. **ნ. ხადური.** ინკლუზიური ზრდის ფაქტორები და საქართველოს ეკონომიკის წინაშე არსებული გამოწვევები. ჟურნალი „ეკონომისტი“, „Ekonomisti” N1, 2018წ. ქ. თბილისი;

(https://www.mes.gov.ge/.../files/2017-2018-wlebis-angarishi-profesiuli-ganatleba.doc..._პროფესიული განათლების რეფორმის ანგარიში 2017-2018)

„განათლების ამონაგები, დასაქმების ბაზარი და შრომითი კმაყოფილება საქართველოში“_2017 წელი.
განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი -- „უმაღლესი განათლების გავლენა სამუშაო ძალის ფორმირებაზე“_2013 წელი.
http://unicef.ge/uploads/WMS_brochure_unicef_geo_web.pdf
analytics/5338-molodezhnaya-bezrabotitsa-sovremennye-trendy-i-posledstviya
http://unesdoc.unesco.org/images/0026/002628/262866e.pdf
https://womanadvice.ru/problemy-sovremennoy-molodezhi
https://www.statista.com/statistics/488717/youth-unemployment-figures-20-24-years-old-in-spain-by-gender/
https://tradingeconomics.com/united-states/youth-unemployment-rate
http://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php/Unemployment_statistics
საქსტატი: http://geostat.ge/?action=page&p_id=145&lang=geo
https://eeas.europa.eu/delegations/georgia/50108/eu4youth-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%98%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A-%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A1-%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93_ka